თუ ვიტყოდი, რომ ჟურნალში ორიანს ჩავუწერდი ან რაიმე სხვა ნიშანს, მართლაც ჩავწერდი და არჩაწერად არ მოვიმიზეზებდი დროის უქონლობას და არ ვიტყოდი, რომ ნიშანს შემდეგ გადავიტანდი, თანაც აუცილებლად, რათა მისნაირებისთვის ჭკუა მესწავლებინა.

ეს არ მიყვარს ყველაზე მეტად მასწავლებლებში: გაგდებენ კლასიდან ან გიწერენ ჟურნალში ცუდ ნიშანს, შემდეგ წუთგაბრაზება ჩაივლის და შენ კლასში რჩები და ჟურნალში შენი სახელის გასწვრივ მდებარე უჯრები კი — ცარიელი, ყოველ შემთხვევაში, მათში დაპირებული ნიშანი არ წერია.

მასწავლებლები მოსწავლის “შეცოდებას” და “საქმის არგაფუჭებას” იმიზეზებენ, მაგრამ მირჩევნია კლასიდან ვიყო გაგდებული, ვიდრე ასეთი სულელური პირობით დატოვებული.

ბოლოს ქართულმა გამაგდო სიცილის გამო, ავდექი და გავედი, მაგრამ 15 წუთში მაინც უკან შემოგვიყვანა... ჩვენ კი შუა თამაშში ვიყავით და მასწავლებელმა შეიცხადა: “აა...თამაშობთ კიდეც, ხო?” და კლასში შეგვიყვანა. აბა რა უნდა გვეკეთებინა? ვიხოცებოდით სიცილით.

კიდევ ელექტრონულ წიგნებს დავუშვებდი გაკვეთილებზე. მე სკოლაში ამას არავინ მიკრძალავს, პირიქით, მიესალმებიან კიდეც, მაგრამ არიან მასწავლებლები, რომლებიც ამის წინააღმდეგნი არიან. სკოლას iPad-ებს ვაყიდინებდი და წიგნების ელექტრონულ ვერსიებს შევქმნიდი (iPad ცოტა არ იყოს ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ფიქრებია, რომლებიც შეიძლება არასოდეს იქცეს რეალობად).

მოკლედ, მგონი კარგი მასწავლებელი ვიქნებოდი, შეიძლება ვასწავლო კიდეც, ოღონდ მაშინ, როდესაც მე თვითონ ვისწავლი, როდესაც იქ ვიმუშავებ, სადაც მინდა და როდესაც უკვე საქმე არ მექნება მაშინ, როდესაც ვასწავლი ჩემი სიამოვნებისთვის და არა ხელფასის გამო.

წყარო (ოდნავი სახეცვლილებით): http://konspace.wordpress.com/2011/03/13/მე-რომ-მასწავლებელი-ვყოფ/

**3** ა. იპოვეთ ტექსტში ოცნების გამომხატველი ზმნები და გაუსვით ხაზი. მაგ., მე რომ მასწავლებელი ვყოფილიყავი, ლიტერატურის ან რომელიმე მეცნიერების მასწავლებელი ვიქნებოდი.

ბ. დააჯგუფეთ თქვენ მიერ ტექსტში მონიშნული ზმნები ქვედა ცხრილში:

| ჩავატარებდი | ვიქნებოდი |
|---|---|
| | |

**4** აღწერეთ, როგორი იქნებოდა თქვენ მიერ ჩატარებული გაკვეთილი:



## ბლოკი 3

# რა პროფესიები მოსწონთ ფეხბურთელებს?



**1** კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი ფეხბურთელებზე და ამოწერეთ, რომელ სპორტსმენს როგორი ხასიათი აქვს:

| | |
|---|---|
| ჯიუნეით ჩაქირი | ერთგული / უერთგულესი, სწორხაზოვანი... |
| ანდრეა პირლო | |
| ანდრეს ინიესტა | |
| ლეო მესი | |
| მარიო ბალოტელი | |
| კრიშტიანუ რონალდუ | |
| ფრანჩესკო ტოტი | |

**2** გადახედეთ ტექსტს და დაასრულეთ წინადადებები:

მაგალითად: კრიშტიანუ ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო, **კარგი მსახიობი იქნებოდა.**

ა. მსაჯი ჯიუნეით ჩაქირი ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო, ........................................

..............................................................................................................................................

ბ. ანდრეა პირლო და ანდრეს ინიესტა ფეხბურთელები რომ არ ყოფილიყვნენ, ................

..............................................................................................................................................

გ. ლეო მესი ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, .................................................................

..............................................................................................................................................

დ. მარიო ბალოტელი ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, ....................................................

..............................................................................................................................................

ე. ფრანჩესკო ტოტი ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, ......................................................

..............................................................................................................................................

**3** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3), გამოკვეთეთ ჟურნალისტის და ფეხბურთელის თვისებები:

ჟურნალისტი: არაკომპეტენტური, ..........................................................................

ფეხბურთელი: თავშეკავებული, ..............................................................................



**4** როგორ ფიქრობთ, ვინ იქნებოდა სალომე, ჟურნალისტი რომ არ ყოფილიყო და ვინ იქნებოდა გიორგი, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო?

**5** როგორ ფიქრობთ, აუცილებელია ყველაზე პოპულარული პროფესიის არჩევა წარმატებული კარიერისთვის?

დაასაბუთეთ თქვენი აზრი და მოიყვანეთ მინიმუმ ერთი მაგალითი.

**ბლოკი 4**

## ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიები

**1** გადახედეთ ტექსტს ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიები — რომელი სპეციალისტები ვეღარ დასაქმდებიან? და დაასაბუთეთ, რატომ არის ეს პროფესიები ნაკლებად მოთხოვნადი? დაამატეთ თქვენი არგუმენტიც (თუ გაქვთ):

ა. ფოსტალიონის პროფესია ნაკლებად მოთხოვნადია, რადგან ელექტრონული ფოსტა უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ქაღალდზე დაწერილი წერილი.

ბ.

**2** მოიფიქრეთ რომელიმე საინტერესო ან იშვიათი პროფესია, აღწერეთ იგი და დაასაბუთეთ, რატომ არის ის საინტერესო ან იშვიათი პროფესია.



**3** დაათვალიერეთ ვებგვერდები www.jobs.ge და www.HR.com.ge და დაადგინეთ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების რეიტინგი (პირველი ხუთეული):

1 ______________________________

2 ______________________________

3 ______________________________

4 ______________________________

5 ______________________________

**4** წაიკითხეთ "ილიაუნი ბიზნეს რევიუს" მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ ტექსტი და ამოწერეთ ყველაზე რეიტინგული პროფესიები (1-5). შეადარეთ თქვენს ხუთეულს: რომელი ემთხვევა, რომელი — არა?



1 ______________________________

2 ______________________________

3 ______________________________

4 ______________________________

5 ______________________________

## საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესია გაყიდვების მენეჯერია

საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესია გაყიდვების მენეჯერია. ამის შესახებ ნათქვამია "ილიაუნი ბიზნეს რევიუს" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში, რომლის პრეზენტაცია დღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

კვლევის - „ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები და საქართველოს ტოპ 30 კომპანია", თანახმად, მოთხოვნადი პროფესიების ოთხეულში ასევე შედის ბუღალტერი, ფინანსისტი და დისტრიბუტორი. შემდეგი პოზიციები ასეთია: საკრედიტო ექსპერტი, პედაგოგი, სამედიცინო, სავაჭრო წარმომადგენელი, ვებ დიზაინერი, პროგრამისტი, მოლარე, გამყიდველი, მაღაზიის მენეჯერი, ინჟინერი, დამლაგებელი, მუშა, მძღოლი, მიმტანი, მზარეული და მცხობელი. კვლევის პროცესში შესწავლილი იყო 2 ვებგვერდი, www.jobs.ge და www.HR.com.ge, განთავსებული განაცხადებები პროფესიების, კომპანიების და რეგიონების მიხედვით.

სულ შესწავლილი იყო 2251 ვაკანსია, 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე.

კვლევის ორგანიზატორების თქმით, გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე მაღალი მოთხოვნა განპირობებულია კომპანიების სურვილით, გაზარდონ თავიანთი გაყიდვები და მოიძებნონ კადრი, რომელიც ამ პროცესს გაუძღვება.

კვლევის პერიოდში დადგინდა, რომ ყველაზე მაღალი მოთხოვნა სამუშაო ადგილებზე დაფიქსირდა ბანკ „კონსტანტაში“. მათ ოთხი თვის განმავლობაში 76 ვაკანსია გამოაცხადეს. შემდეგ მოდის სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ — 57 ვაკანსია, კომპანია „სილქნეტი“ — 41 ვაკანსია.

კვლევა ასევე ჩატარდა რეგიონების მიხედვითაც და ყველაზე მაღალი მოთხოვნა სხვადასხვა სახის პროფესიებზე თბილისში დაფიქსირდა — საერთო განცხადებების 78 %, შემდეგ მოდის იმერეთი — 5%, აჭარა — 5%, სამეგრელო — 3%, კახეთი — 3% და სხვა.

კვლევის პერიოდში ყველაზე მაღალი ანაზღაურება დაფიქსირდა საფინანსო სექტორში — კერძოდ ბანკებში საშუალოდ 1372 ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი განათლების სექტორში საშუალოდ — 360 ლარი.

კვლევისათვის შეირჩა ასამდე ისეთი კომპანია, რომლებიც მთელ საქართველოს ფარავს.

ყველაზე მსხვილ დამსაქმებელ 30 კომპანიას შორის საქართველოს რკინიგზა ლიდერობს 13 500 თანამშრომლით. ამ 30 კომპანიას შორის არის 5 ბანკი, 9 ენერგო და ინდუსტრიული კომპანია, 4 ნავთობკომპანია, 4 სატრანსპორტო და საკომუნიკაციო, 2 სუპერმარკეტის ქსელი, 2 საყოფაცხოვრებო ტექნიკის ქსელი, 2 ფარმაცევტული ქსელი და 2 სადაზღვევო კომპანია.

პედაგოგებს შორის მოთხოვნა ჭარბობს ინგლისური ენის მასწავლებლებზე, ბევრ მათგანზე რეგიონშია ვაკანსია გამოცხადებული, უფრო ხშირად კი გადამამზადებელი ცენტრების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში.

სავაჭრო და სამედიცინო წარმომადგენლებზე მოთხოვნას ქსელური მარკეტინგით დაკავებული კომპანიები აფიქსირებენ.

პროგრამისტებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია, ბიზნეს კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში კორპორაციული პროფილების ინტეგრირებას და განვითარებას.

მიმტანებზე, მცხობელებზე და მზარეულებზე მოთხოვნა განაპირობა ბაზარზე ახალი მოთამაშის, „სმარტის“ გამოჩენამ.

წყარო: http://news.ge/ge/news/story/8470-saqartveloshi-yvelaze-motxovnadi-profesia-gayidvebis-menedjeria

**5** გადაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და მიუწერეთ მე-2 დავალებაში ამოწერილ პროფესიებს განმარტებები:

მაგალითად
გაყიდვების მენეჯერი არის ის, ვინც ....

**6** დაწერეთ, რატომ არის ეს პროფესიები რეიტინგული (გამოიყენეთ ყალიბი „რადგანაც ....”).



**7** გამოიკვლიეთ, რომელია ყველაზე პოპულარული პროფესიები თქვენს ქვეყანაში და შეადარეთ ეს რეიტინგი ქართულ რეიტინგებს.

**8** როგორ ფიქრობთ, რატომ არის ცალკეული პროფესიები პოპულარული საქართველოში და თქვენს ქვეყანაში. რაში ემთხვევა და რა არის განსხვავებული? რატომ?

# თავი IV

## მოგზაურობა

### ბლოკი 1

#### ალპინიზმი

**1** დააკვირდით ზურგჩანთის განყოფილებებს. რომელი ფერის ნაწილში რა ნივთებს ჩაალაგებდით ლაშქრობისთვის?





**2** გაეცანით ქვემოთ მოცემულ პოსტერი და შეადარეთ:

## ზურგჩანთის ჩალაგება



ზურგჩანთის კარგად ჩალაგება დაგეხმარებათ წონის სწორად გადანაწილებაში, რაც ხელს შეგიწყობთ გადაადგილებაში და ხერხემალზე ზედმეტი წონის შემცირებაში.

- ამ ნაწილში მოათავსეთ ყველაზე მძიმე ნივთები. მაგ: კარვის ჯოხები, აპარატურა, საჭმელი.
- აქ შედარებით მსუბუქი ნივთები. მაგ: საძილე ტომარა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი.
- ხოლო ამ ნაწილში ჩაალაგეთ ისეთი ნივთები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება უცბად მოგიწიოთ. მაგ: პირველადი დახმარება, GPS, მობილური ტელეფონი და საწვიმარი.

## ლაშქრობაში გადაადგილების პრინციპები



- **წამყვანი** - მიჰყავს ხაზი, წინ უძღვება ჯგუფს, იკვლევს გზას, არეგულირებს ჯგუფის გადაადგილების ტემპს.
- **ჩამკეტი** - ხაზის ბოლოში დგას და თვალყურს ადევნებს ჯგუფის წევრებს, რომ არავინ ჩამორჩეს. ხაზის ჩამკეტი ეხმარება წამყვანს ხაზის ტემპის დარეგულირებაში.
- **გამანაწილებელი** - მოძრაობს წამყვანსა და ჩამკეტს შორის, თვალყურს ადევნებს ჯგუფის წევრებს, ეხმარება გადაადგილებაში, აწვდის საჭირო ინფორმაციას.
- **მზვერავი** - აქტუალურია გაუკვალავი მარშრუტის შემთხვევაში, წინ უსწრებს ჯგუფს, არჩევს საუკეთესო მარშრუტს, წამყვანს უტოვებს ნიშნულებს.

**3** დააკვირდით ლაშქრობაში გადაადგილების წესებს და მონიშნეთ ცხრილში, რომელი წევრი რა ფუნქციას ასრულებს:

| | წამყვანი | ჩამკეტი | გამანაწილებელი | მზვერავი |
|---|---|---|---|---|
| არჩევს საუკეთესო მარშრუტს. | | | | |
| მოძრაობს წამყვანსა და ჩამკეტს შორის. | | | | |
| თვალს ადევნებს ჯგუფის წევრებს. | | | | |
| იკვლევს გზას. | | | | |
| წინ უძღვება ჯგუფს, მიჰყავს ხაზი. | | | | |
| წამყვანს უტოვებს ნიშნულებს. | | | | |
| აქტუალურია უცნობი მარშრუტის დროს. | | | | |
| არეგულირებს ჯგუფის გადაადგილე-ბის ტემპს. | | | | |
| ეხმარება წამყვანს ჯგუფის გადაადგი-ლების ტემპის დარეგულირებაში. | | | | |
| წინ უსწრებს ჯგუფს. | | | | |

**4** მონიშნეთ, რომელი პროფესიები მოსწონს ბიძინა გუჯაბიძეს ალპინიზმის გარდა?

- ბიბლიოთეკარი ☐
- მსახიობი ☐
- ფოტოგრაფი ☐
- მეზღვაური ☐
- მონადირე ☐
- მზარეული ☐
- ბიოლოგი ☐



**5** ნახეთ გადაცემის ვიდეოჩანაწერი (4.1) და მონიშნეთ სწორი პასუხები:

ა. როგორ ახასიათებს ბიძინა გუჯაბიძე მსახიობის პროფესიას:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| სახალისო | | |
| მსუბუქი | | |
| საინტერესო | | |
| დატვირთული | | |
| სანერვიულო, ხიფათიანი | | |

ბ. რას ნიშნავს ფრაზა:

ასე მუქთად ფული არ გამიკეთებია არასოდეს

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ასეთი მარტივი არასოდეს ყოფილა ჰონორარის მიღება. | | |
| ასეთი რთული არასოდეს ყოფილა მუშაობა. | | |
| ასეთი ადვილი არასოდეს ყოფილა ფულის ბეჭდვა. | | |

**6** როგორ ახასიათებს ბიძინა გუჯაბიძე ალპინისტის პროფესიას ვიდეოჩანაწერის (4.1) მიხედვით?

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ხიფათიანი | | |
| სანერვიულო | | |
| წინასწარ კარგად დაგეგმვის შემთხვევაში უსაფრთხო | | |
| ცივი გონებით გასათვლელი | | |

## ბლოკი 2

### კარვის გაშლა

**1** შემსწავლელის წიგნში (დავალება 3) მოცემული ინსტრუქციები გადაიყვანეთ პირველი პირის მრავლობით რიცხვში (ცხრილში — ფორმა ბ).

**2** ა. გადახედეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 3) საინსტრუქციო ტექსტებს. იპოვეთ და ხაზი გაუსვით ზმნებს, რომლებიც მე-4 დავალებაში ნაპოვნ ზმნასთან ერთად გვხვდება წინადადებებში.

ბ. ცხრილში ფორმის მიხედვით მსგავსი ზმნები დააჯგუფეთ და ზედა გრაფაში დაწერეთ ნაცვალსახელები ის / ჩვენ:



| ა. ---------- | ბ. ---------- | გ. ---------- |
|---|---|---|
| იყოს დაჭიმული | შევამოწმოთ | დაიჭიმოს |

**3** ა. რომელი სუფიქსებისგან შედგება „ა“ ფორმის სიტყვები? გაუსვით ხაზი.

ბ. შემოხაზეთ ამ სიტყვებში ზმნისწინები (პირველი მარცვალი)

გ. ცხრილში მოცემული ზმნები გადაიყვანეთ უპირო ფორმაში (ცხრილში – ფორმა გ) და დაწერეთ ახალი ინსტრუქციები.

**4** 1-ელ დავალებაში მოცემული ინსტრუქციის გამოყენებით შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები:

| | |
|---|---|
|  | 1. გაშალეთ კარვის ქვედა ნაწილი და დაკეცეთ კარვის კალთები. მიწაში .................................................... ოთხი პალო 45°-ის დახრილობით. |
|  | 2. ააწყვეთ კარვის წინა მხარე და კარგად დაამაგრეთ. .................................................................................... |
|  | 3. დაჭიმეთ კარვის წინა მხარის თოკი და დაამაგრეთ .................................................................................... |
|  | 4. ააწყვეთ კარვის უკანა მხარე, დაჭიმეთ შესაბამისი ..................................................... და დაამაგრეთ პალოზე. |
|  | 5. ................................ კარვის კალთების ოთხივე თოკი და დაამაგრეთ მიწაში ჩარჭობილ პალოებზე. |

**5** დაწერეთ მოცემული ინსტრუქციები უფრო ოფიციაულური ფორმით „უნდა“ ზმნის, ინიანი და დონიანი ფორმების გამოყენებით:

> მაგალითად
> 1. კარვის ქვედა ნაწილი უნდა გაიშალოს და კარვის კალთები დაიკეცოს.

## ბლოკი 3

### მოგზაურის ჩანაწერები

**1** დაწერეთ მოკლედ ინფორმაცია იმ ვებგვერდის ან მომსახურების შესახებ, რომელსაც იყენებთ მოგზაურობის დაგეგმვისას.



**2** გამოიყენეთ თქვენთვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია, გაეცანით ასევე ინფორმაციას ქართული ვებგვერდებიდან (იხ. ქვემოთ) და შეეცადეთ დაგეგმოთ მოგზაურობა საქართველოს რომელიმე ნაწილში იაფი გზით. გაითვალისწინეთ შემდეგი პუნქტები:

საიდან სად?
ტრანსპორტი?
ღამისთევა / სასტუმრო?

http://wizzair.com/en-GB/Search — ასევე საქართველოში, ქალაქ ქუთაისის აეროპორტში არის უნგრული ავიაკომპანია, რომელსაც საკმაოდ იაფი ფრენები აქვს ევროპის მიმართულებით (ბუდაპეშტი, კატოვიცე, ვილნიუსი, ვარშავა). თუ თქვენ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქი არ გაწყობთ, გამოსავალი მარტივია, ამ ქალაქებიდან, თითქმის ნებისმიერი ევროპული ქვეყნის მიმართულებით დადის ავტობუსები (მატარებლები) და მგზავრობა საერთო ჯამში მაინც ძალიან იაფი გამოვა.

http://damemgzavre.ge/ — თუ არჩევანს შეაჩერებთ უნგრულ ავიაკომპანიაზე, რომელზეც ზემოთ მოგიყევით და გადაწყვეტთ ქუთაისისკენ გამგზავრებას, ამ საიტის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ უფასოდ იმგზავროთ ქუთაისამდე.

http://www.apa.gov.ge/en/eco-tourism/vizitorTa-centrebi — თუ საქართველოში გაჩერებას გადაწყვეტთ,"დაცული ტერიტორიების სააგენტო" ძალიან კარგ დასვენებას გთავაზობთ და თან მისაღებ ფასად. ამ საიტზე მოცემულია თითქმის ყველა დაცული ტერიტორია და ტყე-პარკი, რომლებიც საქართველოში არსებობს. დამიჯერეთ, ამაზე ლამაზი არაფერი არ არსებობს. არჩევანი თქვენზეა, შეგიძლიათ სრული კომფორტი მოიწყოთ, შეგიძლიათ ცხენებით შეეჭიდოთ მაღალ მთებსა და მწვერვალებს. შეგიძლიათ აბობოქრებულ მდინარეზე ნავით დაეშვათ, სრული ექსტრემია… მოკლედ არჩევანი ძალიან დიდი და მრავალფეროვანია.

**3** შედით ვებგვერდზე http://khevsureti.ge/?page_id=366 და „საქართველოს ბილიკების" რუკაზე იპოვეთ ტექსტში მოცემული მარშრუტი. შეადარეთ იგი თქვენ მიერ მოხაზულ ბილიკს.



**4** აღწერეთ რაიმე უცნაური ან საინტერესო ამბავი, რომელიც მოგზაურობის დროს გადაგხდათ.

**5** იცნობთ თუ არა დედამიწის სხვა რომელიმე ადგილთან დაკავშირებულ მსგავს ლეგენდას? დაწერეთ მოკლედ ეს ლეგენდა:

## ბლოკი 4

### მოგზაურთა ტიპები და ტურები

**1** ა. უპასუხეთ პირველ დავალებაში მოცემული კითხვარს:

ბ. შეადგინეთ საკუთარ თავზე „მოგზაურის პორტრეტი”:

**2** დაადგინეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 3) მოცემული ტურების მიახლოებითი ბიუჯეტი და დაალაგეთ ისინი სიძვირის მიხედვით:

1 ______

2 ______

3 ______

4 ______

5 ______

**3** იპოვეთ მსგავსი ტურები ქართულ ინტერნეტსივრცეში და შეავსეთ ცხრილი მოძიებული ინფორმაციით:

| ინფორმაცია | კომფორტული ტური | მთაში მოგზაურობა | ზღვაზე დასვენება | შოპინგის ტური | ლაშქრობა კარვით |
|---|---|---|---|---|---|
| კომპანიის სახელწოდება:<br>მისამართი:<br>ტელეფონი:<br>ელფოსტა:<br>ვებგვერდი:<br>ფასი და პირობები: | | | | | |

**4** შეარჩიეთ ტური, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ და დაგეგმეთ თქვენი მოგზაურობა დამოუკიდებლად ისე, რომ უფრო იაფი დაგიჯდეთ. მოიძიეთ შესაბამისი ინფორმაცია ინტერნეტ-სივრცეში.

## ბლოკი 1

### სპორტი და ჯანმრთელობა

**1** ქვემოთ მოცემული სპორტის სახეობები ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში:

ბადმინტონი; აფროსნობა; ბეისბოლი; კანოე; სათხილამურო სპორტი; კალათბურთი; ცურვა; მძლეოსნობა; ფეხბურთი; კრივი; ხელბურთი; ფარიკაობა; ჭიდაობა; ფრენბურთი; ჰოკეი; შაში; ბიათლონი; რაგბი; ჭადრაკი; შვიდკაცა რაგბი; მაგიდის ჩოგბურთი; წყალში ხტომა; მშვილდოსნობა; ჩოგბურთი; ძიუდო; მაგიდის ჩოგბურთი; ტანვარჯიში; ველოსპორტი; ცხენოსნობა;

| ზამთრის სახეობები: | საწყალოსნო სახეობები: | მაგიდის სახეობები: | ორთაბრძოლები: | სხვა სახეობები: |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**2** დაკავებული ხართ თუ არა სპორტით? რამდენად ხშირად?
(გამოიყენეთ სიხშირის ზმნიზედები: არასოდეს, იშვიათად, ხანდახან, ხშირად, ყოველდღე, კვირაში ორჯერ, თვეში შვიდჯერ და ა. შ.)



**3** გადაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 3) მოცემული ტექსტი და განმარტეთ, რას ნიშნავს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“:

**4** თუ მისდევთ სპორტის რომელიმე სახეობას, აღწერეთ, რა სასიკეთო გავლენას ახდენს იგი თქვენს ცხოვრებაზე? თუ თქვენ არ მისდევთ სპორტს, გამოჰკითხეთ სპორტით დაკავებულ ახლობლებს:

______________________________________________

______________________________________________

## ბლოკი 2

### სპორტის უძველესი სახეობები

**1** შემსწავლელის წიგნში (დავალება 2) მოცემული ტექსტების მიხედვით დააჯგუფეთ ფრაზები თამაშის სახეობებთან:

ლახტი  საჯილდაო ქვის აწევა  ლელო  მიპატიჟება



- ☒ თამაშისთვის საჭიროა იმდენი სარტყელი ანუ ქამარი, რამდენი წყვილი მონაწილეცაა.
- ☒ მიზანია ბურთის მიტანა მოწინააღმდეგე გუნდის ხაზთან.
- ☒ ცხენის გაჭენება, დაბრკოლების გადალახვა, სხვადასხვა ვარჯიშობა ცხენზე.
- ☒ ვინც ლოდს ოდნავ მაინც ააცილებდა მიწას, ხუთი ვერცხლით უნდა

**2** კონტექსტის მიხედვით განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

მოგების ტოლფასია. (მე-18 სტრიქონი)

______________________________________________

სათამაშო ასპარეზი შემოფარგლული არ იყო. (24-ე — 25-ე სტრიქონები)

______________________________________________

შეხვედრის ბედს უმალ გადასწონიდა. (35-ე სტრიქონი)

______________________________________________

**3** გადახედეთ ტექსტებს კიდევ ერთხელ და შეავსეთ ცხრილი:

| | ლახტი | მიპატიჟება | ლელო | საჯილდაო ქვის აწევა |
|---|---|---|---|---|
| მონაწილეთა/ გუნდების რაოდენობა | | | | |
| თამაშის აუცილებელი ატრიბუტები | | | | |
| თამაშის მიზანი | | | | |
| თამაშის ეტაპები | | | | |

**4** წინა დავალების ცხრილში ამოწერილი წინადადებების მეშვეობით, ჩამოაყალიბეთ თითოეული თამაშისთვის ერთი წინაპირობა მაინც. გამოიყენეთ ყალიბები „ის, ვინც / რომელიც / რომელსაც" ან „თუ" — კავშირიანი წინადადებები:

**5** შეავსეთ მსგავსი ცხრილი თქვენს საყვარელ სპორტის სახეობაზე:

| | |
|---|---|
| სპორტის სახეობა | |
| მონაწილეთა/გუნდების რაოდენობა | |
| თამაშის აუცილებელი ატრიბუტები | |
| თამაშის მიზანი | |
| თამაშის ეტაპები | |

**6** ჩასვით კავშირი „ანუ“ მოცემულ წინადადებებში:

1. გადმოცემით ვიგებთ, რომ ოლიმპიური თამაშები ღმერთებმა, დიდმა მბრძანებლებმა დააწესეს.

2. სტადიონი მან მამის, ზევსის გამარჯვების პატივსაცემად დააარსა.

3. ოლიმპიური ალამი, დროშა თეთრი ფერისაა და მასზე გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჯაჭვული რგოლი.

**7** დაწერეთ, თქვენ რომელი ძველი სპორტული შეჯიბრება მოგეწონათ ყველაზე მეტად, რატომ?



## ბლოკი 3

## ოლიმპიური თამაშები

**1** წაიკითხეთ ტექსტი ქალაქ ოლიმპის შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს:



რას ნიშნავს:

ა. ადრე იქ ცხოვრება დუღდა და გადადუღდა

ბ. გადმოცემით ვიცით

გ. ჩვენს ერამდე

დ. ტურისტების განუწყვეტელი ნაკადი

**2** აღწერეთ ქალაქი ოლიმპი:

**3** დაწერეთ, რომელ ოლიმპიურ თამაშებს უყურებთ ხოლმე? რომელი ოლიმპიადა უფრო მოგწონთ: ზამთრის თუ ზაფხულის? რატომ?



**4** იპოვეთ შესატყვისი და დაუკავშირეთ ისრით:

| | | | |
|---|---|---|---|
| | მთა | | მთა |
| ოლიმპია | ქვეყანა | ოლიმპო | ქვეყანა |
| | მიწა | | მიწა |

**5** შეავსეთ გენეალოგიური ხე ტექსტში ნახსენები მითოლოგიური პერსონაჟების სახელებით:



**6** ა. ამოწერეთ ცხრილში ყველა მითოლოგიური პერსონაჟი და დაახასიათეთ ისინი ტექსტში მოცემული ეპითეტებით:

| | | |
|---|---|---|
| 1 | | შეშინებული და იმედდაკარგული |
| 2 | | სიმართლის დამცველი და ჭკვიანი |
| 3 | | მკაცრი |

ბ. ცხრილის მეორე სვეტში ამოწერილი სიტყვები ისრით დაუკავშირეთ მესამე სვეტში მოცემულ სინონიმებს / განმარტებებს.

## ბლოკი 4

### ჯომარდობა და ფრისბი

**1** ა. იპოვეთ ჯომარდობის შესახებ დაწერილ ტექსტში ამ სპორტის ალტერნატიული სახელწოდება:

ბ. ნავში მონაწილეების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა:

გ. მონაწილის მინიმალური ასაკი:

**2** სურათზე იპოვეთ ჯომარდობისთვის აუცილებელი ატრიბუტები და მიაწერეთ შესაბამის ადგილას:



**3** წაიკითხეთ ტექსტი ჯომარდობაზე და მონიშნეთ, სწორია თუ არა:



- ☐ ნავით დაშვებისას ინსტრუქტორი ზის წინ.
- ☐ ღირებულებაში შედის ტურის დასრულებისას გაცილება აეროპორტში.
- ☐ თბილისში ყოფნისას ტურისტები განთავსდებიან ერთადგილიან ნომრებში.
- ☐ წყალზე დაშვება 6-8-ადგილიანი ნავებით.

**4** არის თუ არა ჯომარდობა სპორტის საშიში სახეობა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება ტექსტიდან მოტანილი არგუმენტებით:

**5** მოიძიეთ ქართულენოვან ვებგვერდებზე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი სირთულის კატეგორია არსებობს ჯომარდობაში და მოკლედ აღწერეთ განსხვავება ამ კატეგორიებს შორის:

**6** რომელი სირთულის კატეგორიის არის შემსწავლელის წიგნში მოცემული ჯომარდობის ტური? აირჩევდით თუ არა ამ ტურს? რას შეცვლიდით მასში?

**7** ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში ფრისბის ისტორიის შესახებ. რამდენი წელია, რაც სპორტის ეს სახეობა არსებობს საქართველოში?

შეადარეთ თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია მოსმენილ ინტერვიუში მოცემულ ინფორმაციასთან.

**8** ა. ჩამოწერეთ ფრისბის თამაშის წესები. გამოიყენეთ ყალიბები „თუ" კავშირით და „ის, ვინც/რომელიც" კონსტრუქციით.



ბ. შეადარეთ თქვენ მიერ აღწერილი წესები ტექსტში მოცემულ წესებს და საჭიროებისამებრ გაასწორეთ თქვენი ნაწერი:

ყველაზე პოპულარული თამაში მფრინავ დისკთან ერთად- ultimate ფრისბი. მას თამაშობს მილიონზე მეტი ადამიანი მთელ მსოფლიოში.

**წესები მოკლედ**

თამაშობს ორი გუნდი.
შემტევი გუნდის მიზანია, შეიტანოს დისკი მოწინააღმდეგე გუნდის ზონაში.
ამასთან, მოთამაშეს არ შეუძლია გადაადგილდეს დისკით ხელში, მაგრამ შეუძლია გადააწოდოს იგი.
დამცველი გუნდის მიზანია, მოხსნას, დააგდოს დისკი, რათა გახდეს შემტევი.
მოწინააღმდეგის შეხება აკრძალულია. თამაშში არ არის მსაჯი.
მთავარი პრინციპი არის - „თამაშის სული", რომელიც ნიშნავს:
„მოწინააღმდეგის პატივისცემა - უპირველეს ყოვლისა".

https://www.facebook.com/note.php?note_id=237515252945770

# თავი VI

## თავისუფალი დრო

### ბლოკი 1

### თავისუფალი დრო და ფოტოგრაფია

**1** თქვენ როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? შეაფასეთ 5-ქულიანი სისტემით

| ხშირად | არც ისე ხშირად | ზოგჯერ | იშვიათად | არასოდეს |
|---|---|---|---|---|
| 5 ქულა | 4 ქულა | 3 ქულა | 2 ქულა | 1 ქულა |

1. მუსიკის მოსმენა ______________________
2. წიგნის კითხვა ______________________
3. საყიდლებზე წასვლა ______________________
4. მეგობრებთან სტუმრობა ______________________
5. ძილი ______________________
6. ტელევიზორის ყურება ______________________
7. სოციალურ ქსელში შესვლა ______________________
8. ფილმების ყურება ______________________
9. სეირნობა ______________________
10. გასართობად წასვლა ______________________

**2** დაწერეთ, მოცემული პუნქტებიდან თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას, რატომ?



**3** ატარებთ თუ არა თავისუფალ დროს სხვა აქტივობებით, რომლებით?

**4** გადახედეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 4) ტექსტს და დაუკავშირეთ ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| უნიკალური | პროფესია |
| პოპულარული და შემოსავლიანი | გამოსახულებები |
| პრესტიჟული | დარგი |

**5** წაიკითხეთ ტექსტი ფოტოგრაფიის დაარსებისა და განვითარების შესახებ და დანომრეთ ფრაზები თანამიმდევრულად:



თავდაპირველად ფოტოების გადაღება ძალიან ძვირი ჯდებოდა.
პირველი ქართველი ფოტოგრაფი იყო ალექსანდრე როინაშვილი.
საქართველოში ლითონის ფირფიტაზე გადაღებული 6 ფოტოსურათი არსებობს.
ყველაზე ძველი ქართული ფოტოსურათი გადაიღეს 1853 წელს.
ფოტოგრაფია წარმოიშვა მე-19 საუკუნეში.
ძველ ფოტოებზე დოკუმენტირებულია იმდროინდელი სასტუმროები, ქუჩები, ტანსაცმელი, ყოფითი კულტურა.
საქართველოში პირველი ფოტოსტუდიები პოლონელმა და გერმანელმა ფოტოგრაფებმა დააარსეს.

Folk Radio:

**ფოტოგრაფიის დაარსება და დარგის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში**

ძველი ფოტოგრაფია უკვე ძალზედ საინტერესო საკვლევი მასალაა. ეს არის შედარებით ახალი დარგი და სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს. საქართველოში ამ დარგის შემოსვლა 1842 წლით არის დათარიღებული. წარმოშობით პოლონელი ლევიცკი და გერმანელი იული ფრიცე ჩამოდიან რუსეთიდან და ხსნიან სტუდიებს. ლევიცკი აკეთებს ასევე 3 ცნობილ დაგეროტიპს. სულ საქართველოს მასშტაბით არის 6 დაგეროტიპი. დაგეროტიპი – ეს არის ფოტოგრაფირების ძველებური ხერხი, სურათს იღებდნენ იოდოვანი ვერცხლით დაფარული ლითონის ფირფიტაზე. უძველესი ფოტო ჩვენთან დათარიღებულია 1853 წლით, ეს არის ალექსანდრე ივანიცკის ფოტო. მან გახსნა ფოტოგრაფიის დეპარტამენტი არმიის შტაბში, ანუ შექმნა სამხედრო ფოტოგრაფია. 60-იან წლებში უკვე ჩანს ქართველი ფოტოგრაფი: ალექსანდრე როინაშვილი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ დარგის განვითარებაში.

ფოტოების გადაღება ერთ-ერთი ძვირი სიამოვნება გახლდათ როგორც კავკასიაში, ასევე ევროპაში. ეს ითვლებოდა რარიტეტულ და ელიტარულ საშუალებად, ეს იყო ძირითადი დოკუმენტირების საშუალება, შესაბამისად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებშიც არის ძალიან ღირებული ფოტოკოლექციები.



ფოტოდოკუმენტაცია მნიშვნელოვან დეტალებს გვაწვდის: მაგალითად, ჩვენი საარქივო ფოტოების საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ მაშინდელი ბუკინისტური მაღაზიები, ხალიჩების მაღაზიები, ფოტოსალონები, ძველი სასტუმროები, ქუჩები, ადამიანების ჩაცმულობა, მათი ყოფითი კულტურა, საშუალებები, რომლებითაც გადაადგილდებოდნენ...

მოამზადა ლიკა მაჩხიძემ

**6** წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და შეავსეთ მე-6 დავალება შემსწავლელის წიგნში.



**7** გადახედეთ ტექსტებს და ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.1) და დაუკავშირეთ ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| ფირი | არაპროფესიონალი |
| შემოქმედებითი | კამერა |
| ფოტო | კრეატიული |
| მოყვარული | ფოტოსურათი |
| ფოტოაპარატი | სურათის გადასაღები ლენტი |

**8** დაწერეთ საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების მოკლე ისტორია.



## ბლოკი 2

### სად და როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

**1** მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ თავისუფალი დროის გასატარებელ აქტივობებში? რომელში?

**2** გადახედეთ ტექსტს და მიუსადაგეთ ერთმანეთს:

ა. დროის აქტიურად გატარება

ბ. დროის მშვიდად გატარება

გ. კლუბში გართობა

ბოულინგის, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდის ან კარტინგის სათამაშოდ წასვლა

DJ-ის რეპერტუარის მოსმენა

ტერასები, სუფთა ჰაერზე მყუდრო გარემო, კაფე-ბარები

**3** როგორ გესმით მოცემული ფრაზები?

1. ჯანსაღი სტუდენტური გარემო.

2. შაბათ-კვირის ნაყოფიერად გატარება.

3. სტუდენტები გულისწყრომით აღნიშნავენ. ______________________________

______________________________

______________________________

4. მატერიალური შესაძლებლობა. ______________________________

______________________________

______________________________

**4** **სიტყვები გამო, მიზნით ჩასვით მოცემულ წინადადებებში:**

1. შაბათ-კვირის ნაყოფიერად გატარების .................................... გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

2. დასვენების დღეების აქტიურად გატარების ..................... შეგიძლიათ წახვიდეთ ბოულინგის ან ბილიარდის სათამაშოდ.

3. სტუდენტები მატერიალური პრობლემის ............................................ ვერ მიდიან სხვადასხვა დაწესებულებაში.

**5** **ჩასვით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და სწორი თანდებული; ხაზი გაუსვით, რომელი შემთხვევაა – მიზანი თუ მიზეზი.**

უფულოდ ........................................................................ სტუდენტები ვერ ერთობიან სათანადოდ.

სტუდენტების ერთმანეთთან გაცნობ................................................... უნივერსიტეტში გაიმართა საპირველსემესტრო ღონისძიებები.

ვირუს — ................................................................ სკოლებში სწავლა გადაიდო. (მიზანი/მიზეზი).

დასვენებ — ....................................................... სტუდენტები წავიდნენ რაჭაში. (მიზანი/მიზეზი).

## ბლოკი 3

### წიგნის კითხვა

**1** **წაიკითხეთ ტექსტები და დაწერეთ, ვის შეიძლება გაუგზავნოთ მოხეტიალე წიგნი?**

1 ______________________________

2 ______________________________

3 ______________________________

შეყვარებულები გყავთ?

გაუშვით წიგნები პერსონალურად მათთვის. მერწმუნეთ, ძალიან რომანტიკულ სიტუაციაში შეიძლება ამოყოთ თავი ერთ მშვენიერ დღეს და ვინ იცის, რაში დაგეხმარებათ ეს :))

შეურჩიეთ წიგნი, წაუწერეთ სათქმელი და მიუშვით, დანარჩენს თავად იზამს.

სათქმელი გაქვთ ადამიანთან, რომელსაც ვერასდროს შეხვდებით პირადად და მიუწვდომლად გეჩვენებათ?

კარგად მიუსადაგეთ ეს სათქმელი რომელიმე კონკრეტულ წიგნს, წააწერეთ (ადრესატი იყოს დაწყებული ცნობილი პოლიტიკოსებიდან, დამთავრებული ცნობილი მომღერლებითა თუ სპორტსმენებით, სულ ერთია - თან არამარტო ქართველებით! კომუნიკაციების ერაში ვცხოვრობთ, ნუ შევიზღუდავთ თავს) და გაუშვით.

დარწმუნებული ვარ, რომ შედეგი სასიამოვნოდ გაგაოცებთ, როცა დრო მოვა :))

აბა, კარგად გაიხსენე რომელმა წიგნმა იმოქმედა შენზე ყველაზე ემოციურად და როდის? ახლა წარმოიდგინე, რომ ზუსტად ის წიგნი, შენივე მინაწერით, იპოვო ქუჩაში კარგა ხნის შემდეგ.

მიუძღვენი წიგნი შენს თავს და გაუშვი სახეტიალოდ. თუ ის ოდესმე დაგიბრუნ-დება ზედ დატანილი, წლების წინ გაკეთებული შენივე მინაწერით, შენს ცხოვრებას ეს წიგნი აგერ უკვე მეორედ დაასვამს დამღას და მეორედ შეცვლის :))

გაუშვი წიგნი შენთვის მომავალში.

**2** ნახეთ ვიდეოჩანაწერის (6.2) გაგრძელება და იპოვეთ საჭირო ინფორმაცია:

მოხეტიალე წიგნების მპოვნელები ჯაბა ზარქუას უკავშირდებიან ........................................ -ით

თბილისის გარდა მოხეტიალე წიგნების იდეა გავრცელდა

..........................................................................- ში

..........................................................................

..........................................................................

..........................................................................



**3** არსებობს თუ არა წიგნის დღე ან მსგავსი ღონისძიება თქვენს ქვეყანაში? აღწერეთ იგი:

**4** აირჩიეთ წიგნი, რომელსაც სახეტიალოდ გაუშვებდით და მოიფიქრეთ, რა წარწერას გაუკეთებდით მას.

## ბლოკი 4

### ფლეშმობი

**1** თქვენი აზრით, რას ნიშნავს:

ფეხს იკიდებს ( ბ)

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი ( გ)

ტყემალზე სხედან (გ)

გამოხმაურებას ჰპოვებს ( გ)

სიცოცხლით სავსე ( დ)

**2** გინახავთ ფლეშმობი? მონაწილეობა ხომ არ მიგიღიათ მასში? ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.3) და დაწერეთ, რატომ მოეწყო ეს ფლეშმობი?

**3** თუ შენ მხიარული და სიცოცხლით სავსე ხარ, გაქვს ფეისბუქი და დაინტერესებული ხარ ფლეშმობში მონაწილეობით, ან გაქვს ორიგინალური იდეები, რა თემაზე შეიძლება ფლეშმობის მოწყობა, შეგიძლია იპოვო ქართული ფლეშმობის გვერდი და მიიღო დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ამ თემასთან დაკავშირებით დაწერეთ და გაუზიარეთ ჯგუფს:



# თავი VII

## თბილისი და ქალაქში გადაადგილება

### ბლოკი 1

### თბილისი ფოტოგრაფების თვალით

**1** ა. შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 1, დავალება 2) გადახედეთ ტექსტს „ერთხელ ავჭალაში“. რა შეგიძლიათ თქვათ ავტორის გარეგნობის, ასაკის, ჩაცმულობის შესახებ?

ბ. ტექსტის ბოლოს ავჭალის მცხოვრები ავტორს ეკითხება: „ამერიკელი ხარ?“თქვენი აზრით, რატომ დასვა ქალმა ეს შეკითხვა?

**2** დააკვირდით შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 1, დავალება 7.ა) მოცემულ ფრაზებს. დასვით ტოლობის (=) ან უტოლობის (≠)ნიშანი:

| | | |
|---|---|---|
| … -ისკენ | ☐ | … -ის გამო |
| … -ის მიმართულებით | ☐ | … -ისკენ |
| … -ისკენ | ☐ | … -ისგან |

**3** დაასრულეთ სიტყვები -ის და -ისკენ დაბოლოებებით:

1 ლიანდაგის გასწვრივ სიარულის შემდეგ კახა თოლორდავა ავჭალ…….. მიმართულებით წავიდა.
2 კახა თოლორდავა ვახტანგ ლომიშვილის ეზოში მდებარე ციხე-სიმაგრ……. დაეშვა.
3 კახა თოლორდავა ეკლესი…….. მიმართულებით წავიდა.
4 ჯვრისწერაზე დასწრების შემდეგ რკინიგზის სადგუ…….. გაემართა.
5 გამვლელმა კახა თოლორდავას ქალაქ………… მიმავალი გზა მიასწავლა.

**4** აირჩიეთ სამიდან ერთ-ერთი ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

**1**

ქაშუეთის ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში ინგრეოდა. დავით სარაჯიშვილმა მისი რესტავრაცია გადაწყვიტა. ჯერ შეასწავლინა რამდენად შეიძლებოდა მისი გამაგრება, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, გამაგრებისთვის გაღებული თანხა უაზრო ხარჯი იქნებოდა, ვერ განახლდებოდა და ამიტომ, მეცენატის ინიციატივითა და დაფინანსებით, გადაწყვიტეს, დაენგრიათ ძველი ქაშუეთი და მის ნაცვლად ახალი ეკლესია აეგოთ. ახლის აშენება გერმანელ არქიტექტორს, ბილ ფელდს სთხოვეს. სარაჯიშვილს სამთავისის ტაძარი მოსწონდა და უთხრა, რომ ნიმუშად ის აეღო. ბილ ფელდმა მართლაც ააგო ქაშუეთი, მაგრამ ბევრი მისი შექმნილით უკმაყოფილო დარჩა. სამთავისისგან განსხვავებით, ტაძარი ცივი გამოვიდაო, – მაშინ ასე ამბობდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ გერმანელი ვერ ჩასწვდა ქართული საკულტო ნაგებობის არქიტექტურას.

**2**

ფუნიკულიორი, რომელიც 1905 წელს აშენდა, თბილისს ძალიან უხდება. ახლაც კი ძვირი დაჯდებოდა იმ ციცაბო ფერდობზე მისი აშენება, ლიანდაგების გაყვანა, მით უფრო მაშინ... ბევრს ჰგონია, რომ რადგან კარგი ხედია იქიდან, კარგი სასეირნო ადგილია, ფუნიკულიორიც ამიტომ გაკეთდა. სინამდვილეში ასე არ არის. მშენებლობა XX საუკუნის დასაწყისში იქ იმიტომ წამოიწყეს, რომ ზემო ქალაქის გაშენებას აპირებდნენ, რადგანაც თბილისი მტკვრის აღმა და დაღმა ძალიან გაიწელა, ფიქრობდნენ, რომ მთაწმინდის პლატო ახალი ქალაქისთვის გამოეყენებინათ. იქაურობა მართლაც მიწის ნაკვეთებად დაიყიდა, დაიხაზა, ქუჩათა ქსელიც შეიქმნა. მოკლედ, მდიდრების უბანი იყო დაგეგმილი და ამიტომ ასეთი ბიზნესპროექტი მოიფიქრეს. ბელგიელებმა დააპროექტეს. უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდო, მაგრამ იქ მშენებლობის პირველი ეტაპი რომ დამთავრდა, რუსეთის იმპერიაში 1905-07 წლებში პირველი რევოლუცია დაიწყო. ქალაქში გამოსვლები იყო, მაუზერიანი ხალხი დარბოდა, არეულობა, არასტაბილური სიტუაცია იყო და სამშენებლო ბიზნესი, ცხადია, იმ პერიოდში წინ ვერ წავიდოდა, დეველოპერებს არ უყვართ არეულობა და ამიტომ ჩავარდა კიდეც ეს პროექტი. თუმცა ქალაქს დარჩა ფუნიკულიორი.

შემდეგ წლებში ფიქრობდნენ, რა ექნათ იქაურობისთვის და ბოლოს ბერიას დროს სტალინის სახელობის პარკი გაშენდა, რომელიც დღეს "ბომბორას" სახელს ატარებს.

**3**

საქართველოში პირველად კარტოფილი თბილისში გასინჯეს მას შემდეგ, რაც გერმანელები 1818 წელს ჩვენთან გადმოასახლეს. თბილისში იმხანად იყო ორი სოფელი: კუკია-ჩუღურეთის ადგილას და „ნოიე ტიფლისი," ანუ ალექსანდერდორფი. გერმანელები ამ ადგილებში რომ დასახლდნენ, იმის მერე გავიგეთ კარტოფილის გემო, ასევე ლუდის (მთის ლუდი კი გვქონდა, მაგრამ ის ტრანსპორტირებას ვერ უძლებდა), ასევე გავსინჯეთ არაჟანი, ფუნთუშა და ხის კასრიც პირველად მაშინ შემოვიდა ხმარებაში. დღევანდელი მარჯანიშვილის მეტროს მიდამოებში, აღმაშენებლის გამზირზე, მთლიანად გერმანელების დასახლება იყო, რომელსაც გერმანულ კოლონიას ეძახდნენ. აქ მათ ააშენეს ლუთერანული ეკლესია „კირხე". იმ პერიოდში გერმანელები იყვნენ ბოლნისსა და თეთრწყაროშიც. შემდეგ წლებში კი სტალინმა ისინი აქედან გაასახლა.

(წყარო: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/112157-5-ucnobi-faqti-thbilisze-romelic-skolashi-ar-istsavleba.html

ა. იპოვეთ თქვენ მიერ შერჩეული ტექსტის შესაბამისი ფრაზა:

გერმანელები თბილისში
თბილისის ერთ-ერთი პარკი
თბილისის ერთ-ერთი ტაძარი

ბ. თბილისის რუკაზე მოძებნეთ ადგილი, რომელსაც თქვენ მიერ შერჩეული ტექსტი ეხება.






გ. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 3 ინფორმაცია და იპოვეთ, რომელი შეესაბამება თქვენ მიერ შერჩეულ ტექსტს?

1. მას თავდაპირველად გასართობი დანიშნულება არ ჰქონდა. მისი მშენებლობა თბილისის გასაფართოებლად დაიწყეს. მშენებლობის განხორციელებაში ბელგიელები იყვნენ ჩართული.

2. ამ ადგილს უკავშირდება სხვადასხვა ევროპული საკვები პროდუქტის შემოტანა საქართველოში. იმხანად ამ ადგილებში ორი სოფელი არსებობდა.

3. მისი მშენებლობა გერმანელი არქიტექტორის სახელს უკავშირდება. დაინგრა ძველი ნაგებობა. ახალი კი ზევრმა დაიწუნა.

**5** ინტერნეტბმულების გამოყენებით მოიძიეთ ინფორმაცია თბილისის რომელიმე უბნის ან ისტორიული ადგილის შესახებ და შეადგინეთ ტურისტული ცნობარი.




http://burusi.wordpress.com/history/old-tbilisi/
http://www.populars.ge/news-2.html
http://children.dsl.ge/istoria/kidobani/ubnebi.htm

ა. დახაზეთ რუკა და ტურისტს დაწვრილებით აუხსენით, როგორ მივიდეს ამ ადგილას.

ბ. მოძიებული ინფორმაციით შეადგინეთ მოკლე ტექსტი, რომელსაც გიდი ტურისტულ ჯგუფს მოუყვებოდა ამ ადგილის შესახებ (ადგილის ისტორია, სახელწოდების ისტორია, ახლანდელი ფუნქცია...).



**6** თქვენ რომელ უბანში ცხოვრობთ? შეადგინეთ ტექსტი თქვენი უბნის შესახებ: რა მოხვდება თვალში თქვენი უბნის დამთვალიერებელს? რომელი ტრანსპორტი დადის თქვენს უბანში? როგორ ცხოვრობს ამ უბნის მოსახლეობა?

## ბლოკი 2

### უსაფრთხოების დღეები

**1** შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| სიცოცხლე | ცოცხალი |
| სიფრთხილე | |
| | მკვდარი |

**2** იპოვეთ შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 2, დავალება 3 ბ) ტექსტში სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები:

დრომოჭმული

მიხსნა სიკვდილისგან

**3** დააკვირდით ფოტოს. თქვენ იკრავთ უსაფრთხოების ღვედს მანქანაში? რატომ?

უნდა შევიკრა ღვედი,
იქნებ ავარია მომივიდეს



უნდა შევიკრა ღვედი,
იქნებ პატრულმა გამაჩეროს



**4** დააკვირდით წინა დავალებაში მოცემულ სურათებს: რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოსა და სხვა ქვეყანაში მცხოვრებ მძღოლებს ღვედის შეკვრასთან დაკავშირებით? ემთხვევა ის თქვენს დაკვირვებას?

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**5** გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. ვინ იხდის ჯარიმას ღვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში?

______________________________________________

ბ. ტექსტის მიხედვით, რა შემთხვევაში აღარ აქვს მძღოლს უფლება, მართოს ავტომობილი?

გ. როგორ შეიძლება აღმოაჩინონ სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომ მგზავრს ღვედი არ ეკეთა?

**უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა**

მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – ჯარიმა 40 ლარი (ჯარიმა ეკისრება მძღოლს. თუ დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა ვიდეო ან ფოტო ფირზე, გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს).

ჯარიმის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მძღოლს დამატებით დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობა გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

(წყარო: https://www.facebook.com/notes/safedrive)

**6** გადახედეთ შემსწავლელის წიგნში ტექსტს (ბლოკი 2, დავალება 5 ა) და დაუკავშირეთ ერთმანეთს ცხრილის გრაფები:

| კავშირი | როდის ვიყენებთ? |
|---|---|
| როგორიც | მიემართება ადგილს. |
| სადაც | მიემართება თვისებას, აღწერას, მახასიათებელს. |
| როდესაც | მიემართება დროს. |

**7** რატომ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა გამოიყენოს მგზავრმა ღვედი. მოიყვანეთ არგუმენტები (80-100 სიტყვა).

## ბლოკი 3

### თბილისის უბნები



**1** თქვენი აზრით, რა განსხვავებაა უბანსა და ქუჩას შორის?

უბანი

ქუჩა

**2** იპოვეთ თბილისის რუკაზე ის უბნები, რომლებსაც გაეცანით წიგნის დავალებების მეშვეობით.

**3** წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და იმსჯელეთ, როგორი პიროვნებაა ანრი ჯოხაძე:



**ანრი ჯოხაძე**

ვიცი, რომ ეს ადამიანი სკანდალურია, ერთი პოლიტიკური კლიპიც ჰქონდა, სადაც "ბედნიერ ერს" არცხვენდა; არაერთხელ დავიჯერეთ, რომ ანრი ჯოხაძე სკანდალურია. ანრი, რომელსაც ყოველთვის მოსწონდა გამარჯვება და ამას თითქმის ყველა მუსიკალურ კონკურსზე ახერხებდა, "ევროვიზიის" კონკურსზე წარუმატებელი მონაწილეობის შემდეგ ტელევიზიით იშვიათად ჩნდებოდა.

**4** ვიდეოჩანაწერის (7.3) მიხედვით მოძებნეთ ქართულ ინტერნეტსივრცეში იგივე სიმღერა სხვა მომღერლის შესრულებით, ამოწერეთ შემდეგი ინფორმაცია:

სიმღერის სათაური: ______

კომპოზიტორის სახელი და გვარი: ______

მომღერლის სახელი და გვარი: ______

______

______

**5** დაწერეთ მოკლედ, რა განსხვავებაა პირველსა და თქვენ მიერ ნაპოვნ ვიდეოს შორის? თქვენ რომელი უფრო მოგწონთ? რატომ?



**6** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (7.3) და ამოწერეთ, რომელი უბნები და ტრანსპორტი გვხვდება დიალოგში:



**7** აღწერეთ თქვენი საყვარელი ქალაქი: რომელი და როგორი უბნები და ქუჩები აქვს? რომელ უბნელი გინდათ რომ იყოთ?

## ბლოკი 4

### თბილისის ტრანსპორტის ისტორია

**1** ა. დაუკავშირეთ ერთმანეთს წინადადებები შემდეგი კავშირებით: რომელიც, რაც

1. 127 წლის წინ თბილისში პირველად ამოქმედდა ე.წ. კონკა ანუ ცხენის რკინიგზა, ................ პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო ქალაქში.
2. ომნიბუსი ლათინური სიტყვაა, ................... ქართულად „ყველასთვის“ ნიშნავს.
3. თითოეულ ვაგონს დაჰყვებოდა კონდუქტორი, .............. მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს.

ბ. გადაამოწმეთ თქვენი პასუხები შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 4, დავალება 2) მოცემულ ტექსტში.

**2** შეუსაბამეთ განმარტება კავშირებს:

1. რომელიც

2. რაც

ა. მითითება რამდენიმედან ერთ-ერთზე
ბ. მითითება ერთ კონკრეტულ საგანზე ან მოვლენაზე

**3** ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული კავშირები, „რაც" ან „რომელიც", შესაბამისი ფორმით:

ძველად თბილისში მტკვარზე ცურავდა ტივები, ……………..…… ხშირად ხილით იყო დატვირთული.

თბილისის ცხოვრების ტემპის მატების გამო ტრანსპორტის მოდერნიზების საჭიროება გაჩნდა, ………..……. ქალაქის მთავრობამ 1934 წელს განახორციელა.

თბილისის გაზრდის შემდეგ დაინერგა საცხენოსნო რკინიგზის მარშრუტი, ……………..…. დღევანდელი აღმაშენებლის გამზირიდან იწყებოდა.

90-იან წლებში თბილისში ერთ-ერთი ძირითადი ტრანსპორტი ტროლეიბუსი იყო, …………… არსებობა 2006 წელს შეწყვიტა.

**4** წაიკითხეთ ტექსტი და მიუთითეთ ცხრილში სტრიქონის ნომერი, სადაც არის საუბარი შემდეგ ასპექტებზე.



აეროპორტი დედაქალაქიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მაგრამ აეროპორტიდან ქალაქში მოხვედრა არანაირ სირთულესთან არაა დაკავშირებული. ჩვენი დედაქალაქი სასტუმროების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, რაც არჩევანის საშუალებას აძლევს დედაქალაქის ნებისმიერ სტუმარს. დაბინავების შემდეგ შეგიძლიათ სასტუმროს რესტორანში ჩაისეირნოთ, ან ნომერში შეუკვეთოთ სადილი ან ვახშამი. თბილისში აქტიურია ღამის ცხოვრება და დასვენების ფართო არჩევანია: შეგიძლიათ ლუდის ბარში წახვიდეთ, მიირთვათ როგორც ქართული, ასევე უცხოური ლუდი და მოუსმინოთ ცოცხალ მუსიკას. თბილისში 3 ძირითადი ქუჩაა, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ბარებს. ესენია: ახვლედიანის ქუჩა (პეროვსკაია), ქიაჩელის ქუჩა და შარდენი (თბილისის ძველი ისტორიული ქუჩა). ცოცხალი მუსიკა ყველგანაა საღამოს 9-დან ღამის 12-1 საათამდე. თქვენ აუცილებლად შეარჩევთ თქვენთვის სასურველ ადგილს.

და ბოლოს:

ქართველები ყოველი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის დალევისას სადღეგრძელოს ამბობენ. აუცილებლად გასინჯეთ ხინკალი, ხაჭაპური, ტრადიციული ქართული ღვინო და ჭაჭა (არაყი).

| | სტრიქონის ნომერი: |
|---|---|
| დედაქალაქის მდებარეობა | |
| ღვინის სმის ტრადიცია | |
| ტრადიციული კერძები | |
| გასართობი ადგილები | |
| გართობის საშუალებები | |
| დედაქალაქის დადებითი მხარე | |

**5** დაწერეთ, რა ელოდება ტურისტს, რომელიც თქვენს მხარეს ეწვევა?



ა. შეადგინეთ გეგმა

ბ. დაწერეთ 50-70 – სიტყვიანი ტექსტი.

**6** მოძებნეთ ინტერნეტში სურათები, რომლებიც თქვენ მიერ დაწერილ ტექსტს შეესაბამება და შეადგინეთ საინფორმაციო ბუკლეტი:

# თავი VIII

საყიდლები

## ბლოკი 1

### ონეომანია

**1** შემსწავლელის წიგნში (დავალება 2) მოცემული ტექსტის მიხედვით (სტრიქონები 1-22) აღწერეთ, როგორ იქცევიან ყიდვის მუდმივი სურვილით შეპყრობილი ადამიანები?

**2** წაიკითხეთ ტექსტი და განმარტეთ, რას ნიშნავს:



ეს ტაფა ხელიდან გასაშვებია? (სტრიქონი 15)

მაპატიეთ, გულს თუ გიხეთქავთ (სტრიქონი 30).

დეპრესია სათოფეზეც კი არ ჩანს (სტრიქონი 41).

**3** რას გვთავაზობს ავტორი: როგორ შეიძლება მოვერიოთ ყიდვის სურვილს?

**4** კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ ყველა ზმნა, რომლებიც მომავალ დროს გამოხატავს.



მაგალითად

აღმოაჩენთ, დახარჯავს...

**5** გაიხსენეთ, როგორ იწარმოება წართქმითი ბრძანებითი კილო და უკუთქმითი ბრძანებითი „არ“ ნაწილაკის გამოყენებით. შეავსეთ ცხრილი:

| | | |
|---|---|---|
| დახარჯეთ! | ნუ დახარჯავთ! | არ დახარჯოთ! |
| დახარჯეთ! | | |
| | | არ დაივიწყოთ! |
| | ნუ გადაიხდით! | |
| შეიძინეთ! | | |
| | ნუ იყიდით! | |
| მიიღეთ! | | |

**6** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (8.1) და უპასუხეთ შეკითხვებს:



ა. რა მიზეზით უნდა ცოლს თავდაპირველად მაღაზიებში შესვლა? რასეუბნება იგი ქმარს?

ბ. რატომ უნდა ცოლს მოგვიანებით ტანსაცმლის ყიდვა? რა მიზეზი მოჰყავს?

გ. თქვენი აზრით, რეალურად რატომ უნდა ქალს ამ დიალოგის მიხედვით ახალი ტანსაცმლის ყიდვა?

დ. მიეცით ამ ქალს რჩევა: ურჩევდით თუ არა ახალი ტანსაცმლის ყიდვას? რატომ?

## ბლოკი 2




### ტექნიკა და განვადებით ყიდვა

**1** დააკვირდით სიტყვას „განვადება".

ა.რა არის ამ სიტყვის ძირი? რომელი სიტყვისგან არის იგი ნაწარმოები?

ბ. როგორ ფიქრობთ, რა შინაარსობრივი კავშირია ამ სიტყვასა და მის ძირს შორის?

**2** როგორ იქნება თქვენს ენაზე ეს სიტყვები?

| |
|---|
| სესხი |
| ვადა |
| ხელფასი |
| განვადება |
| ღირებულება |
| თანხა |
| მსესხებელი |
| ხელშეკრულება |

**3** გადაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 2) მოცემული ტექსტები.

ა. რომელ ბანკს აქვს ყველაზე მეტად შეზღუდული ასაკობრივი ზღვარი?

ბ. რომელი ბანკი არ ითხოვს ინფორმაციას ხელფასის შესახებ?

გ. რომელი ბანკი სთავაზობს შეღავათს კორპორაციულ კლიენტებს?

**4** ურჩიეთ მეგობარს, რომელი ბანკის მეშვეობით შეიძინოს განვადებით ტექნიკა „მეგატექნიკაში". ურჩიეთ, ასევე, რომელ ბანკში არ გააფორმოს განვადება. დაუსაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

**5** შეადარეთ განვადების ეს პირობები თქვენთვის ცნობილი სხვა ქვეყნების ბანკების პირობებს. რა განსხვავებაა მათ შორის?

## ბლოკი 3

### ონლაინვაჭრობა



**1** წაიკითხეთ წიგნში (დავალება 3) მოცემული ტექსტი. ტექსტის მიხედვით აღწერეთ და დაასაბუთეთ ონლაინვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**2** დაუკავშირეთ ერთმანეთს ისრით:

| | |
|---|---|
| მაღალი | გატეხვა |
| საფოსტო | მოპარვა |
| ანგარიშის | გადაზიდვა |
| ფულის | რისკი |



**3** ტექსტის მიხედვით დაწერეთ, რა გავლენას იქონიებს ონლაინვაჭრობის განვითარება საქართველოში არსებულ ბრენდ მაღაზიებზე?

**4** შეადარეთ თქვენს რეალობას - რა შეცვალა მსოფლიოს მასშტაბით ბიზნესში ონლაინვაჭრობის შემოღებამ?

**5** ურჩიეთ მეგობარს, იყიდოს თუ არა საქონელი საქართველოში ონლაინვაჭრობის მეშვეობით:

## ბლოკი 4

### ონლაინვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (8.2) კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რას ნიშნავს „შოპინგფესტივალი"?

ბ. ვისი პროდუქცია არის წარმოდგენილი ამ ფესტივალზე?

გ. ჩაწერეთ საქართველოს რომელი კუთხეები გვხვდება რეკლამაში?

დ. რისი გაკეთება შეიძლება 4 ივლისიდან რეკლამის მიხედვით?

ე. მოიფიქრეთ სიტყვა "შოპინგის" სინონიმები:

**2** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (დავალება 3) მოცემული ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. შეძენილი ნივთი პირდაპირ მოვა თქვენს მისამართზე?

ბ. რა სახის ნივთების შეძენაა შესაძლებელი ონლაინმაღაზიაში?

**3** იპოვეთ მოცემული ფრაზები ტექსტში (დავალება 3), შეეცადეთ მათი მნიშვნელობის ამოცნობას კონტექსტიდან და დაწერეთ თქვენი სიტყვებით:

ა. გვირაბის ბოლოს სინათლე ინტერნეტშოპინგია.

ბ. სადაც გვეგულება ყველაფერი დედამიწის ზურგზე.

**4** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (8,3) და ჩამოწერეთ, რა ნივთების ყიდვაა შესაძლებელი ონლაინშოპინგით?





**5** შეავსეთ მოცემული გრაფები და შეუკვეთეთ სასურველი ნივთი.

| | |
|---|---|
| შეკვეთა | |
| სახელი, გვარი: | |
| ელფოსტა: | |
| მიტანის მისამართი: | |
| მიტანის სასურველი დრო: | |
| მობ. ნომერი: | |
| ნივთის დასახელება, რაოდენობა, ფერი: | |

შეკვეთა

**6** მიეცით რჩევები შოპინგომანებს – დაამატეთ რჩევები თქვენი შეხედულებისამებრ. გამოიყენეთ ნაწილაკი „უნდა".

# თავი IX

## მომხმარებლები და გადასახადები

### ბლოკი 1

#### გადასახადები

**1** ჩამოწერეთ, რა სახის გადასახადს იხდით თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები?

გადასახადები

**2** ა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (9.1) და მონიშნეთ, რომელი ინფორმაციაა სწორი:

1. „თელასი" მოსახლეობის გაზით მომსახურების კომპანიაა.
2. კლიენტი თვლის, რომ გადასახადის თანხა ზედმეტია.
3. „თელასის" ოპერატორთან საუბრისას გაირკვა, რომ გადასახდელი თანხა სწორია.
4. მომხმარებელს შეცდომით მეზობლის გადასახადს ახდევინებენ.

ბ. დაწერეთ, როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელი, თუ გადასახადის ქვითარში შეცდომას აღმოაჩენს?

გ. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (9.1). დიალოგის რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით ჩამოთვლილ ფრაზებს? ცხრილში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაზის ნომერი.

1. თვლის, რომ იმაზე მეტი მოვიდა გადასახადი, ვიდრე ელოდა.
2. თვლის, რომ მისი მრიცხველი შესამოწმებელია.
3. მისი აზრით, ძველი ან მძლავრი ელექტრომოწყობილობები ბევრ ელექტროენერგიას მოიხმარს.
4. გადასახდელი აქვს 58 ლარი.
5. მისი რჩევით, პრეტენზიის მქონე მომხმარებელმა განცხადება უნდა დაწეროს.

| | ფრაზის ნომერი |
|---|---|
| მომხმარებელი | |
| ოპერატორი | |

დ. მოკლედ დაწერეთ, რა იყო გაზრდილი გადასახადის მიზეზი:

**3** გადახედეთ კიდევ ერთხელ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი1, დავალება 3) მოცემულ საჩივრებს.

დაწერეთ, თქვენ თუ გაქვთ ასეთი პრობლემა, ან თუ აწყდებით სხვა მსგავს პრობლემას?



**4** დაწერეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი1, დავალება 5) მოცემული ფრაზების თქვენი ვარიანტები:

**5** თქვენ მოგივიდათ გაზის გადასახადი იმაზე მეტი, ვიდრე გქონდათ დახარჯული. ამიტომაც არ დაფარეთ გადასახადი და მიიღეთ ქვემოთ მოცემული წერილის მსგავსი შეტყობინება.

ა. გაეცანით ქვემოთ მოცემულ წერილს და შეავსეთ ცხრილი.

გაზის საფასურის გადახდის შესახებ

მოგესალმებით,

ძვირფასო აბონენტო: გურამ ნემსიწვერიძე
მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ გასულ თვეში არ იყო გადახდილი გაზის საფასური.
ჩვენი კომპანიის შინაგანაწესიდან გამომდინარე, თუ აღნიშნულ თანხას არ დაფარავთ 01.12. 2014-მდე, შეგიწყდებათ ბუნებრივი აირის მიწოდება.
თუ არ ეთანხმებით აღნიშნულ ინფორმაციას, შეგიძლიათ გაასაჩივროთ წერილი ათი სამუშაო დღის ვადაში.

პატივისცემით,
ყაზტრანსგაზის ადმინისტრაცია

20.11. 2014

| | |
|---|---|
| გამგზავნი: | |
| მიმღები: | |
| მიმართვა: | |
| წერილის მიწერის მიზეზი: | |
| რას ითხოვს წერილის ავტორი? | |
| დამშვიდობება: | |

ბ. მისწერეთ კომპანია ,,ყაზტრანსგაზს“ facebook-ის ოფიციალურ გვერდზე, რომ გაქვთ პრობლემა.
დაწერეთ ნახევრად ფორმალური წერილი მოცემული პუნქტების გათვალისწინებით.



თემა (რის შესახებ არის წერილი);
მიმართვა (მისალმება);
რას შეეხება წერილი;
წერილის მიწერის მიზეზი;
რა გსურთ? რას ითხოვთ?
დამშვიდობება.




**6** ვებგვერდზე გაეცანით ინფორმაციას საჩივრის დაწერის შესახებ და მონიშნეთ, ჩამოთვლილი ფრაზებიდან რომლებია სწორი:

ა. კომუნალური მომსახურების შესახებ საჩივრის დაწერისას სააბონენტო ნომრის მითითება აუცილებელია.
ბ. არსებობს საჩივრის ოფიციალური ფორმა, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ.
გ. საჩივარში უნდა მიუთითოთ იმ კომპანიის სრული იურიდიული დასახელება, რომელსაც უჩივით.
დ. კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საჩივარზე დართვა ზედმეტია.



## ბლოკი 2

### უცნაური გადასახადები

**1** იპოვეთ ტექსტში „უცნაური გადასახადების შესახებ“ აკრძალულია სიტყვის ორი სინონიმი:

ანტონიმი

**2** წაიკითხეთ ფრაზები და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სიტყვები – აკრძალული არის / აკრძალულია ან ეკრძალება / ეკრძალებათ:



1. ჰიუსტონში ............................................................ ლუდით ვაჭრობა კვირა შუაღამის შემდეგ.
2. მაიამიში ...................................................... ველოსიპედით სიარული ხმოვანი სიგნალების გარეშე, თუმცა იმავე კანონით ველოსიპედისტებს ხმოვანი სიგნალის გამოყენება ............................................. .
3. ფლორიდაში გაუთხოვარ ქალებს ................................................ კვირაობით პარაშუტით ხტომა.
4. კალიფორნიაში ...................................... კოვბოის ჩექმების ტარება იმ პირების მიერ, რომელთაც არ ჰყავთ 2 ძროხა მაინც.
5. დენვერში ..................................................................... მეზობლისაგან მტვერსასრუტის თხოვნა.
6. ოკლაჰომაში სამზე მეტ ძაღლს ................................................ ერთად შეკრება, თუ მათ არა აქვთ ამისათვის სპეციალური ნებართვა ქალაქის მერისაგან.

https://ucnauri.com/51494/ყველაზე-უცნაური-კანონები/

**3** ა. მე-2 დავალებიდან ამოწერეთ ის ფრაზები, რომლებშიც არ არის მითითებული, თუ ვის მიემართება ეს აკრძალვა, ანუ უპირო კონსტრუქციები:

1.

2.

3.

ბ. მოცემულ კონსტრუქციებში ჩაამატეთ, ვის მიემართება აკრძალვა:

1. (კვირაობით პარაშუტით ხტომა) ______

2. (ჩექმების ტარება) ______

3. (ერთად შეკრება) ______

**4** მოიფიქრეთ და დაწერეთ მსგავსი უცნაური აკრძალვები. გამოიყენეთ ფორმები აკრძალულია / აკრძალული არის და ეკრძალება / ეკრძალებათ:

______

______

______

**5** მოიძიეთ ინტერნეტში ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის უცნაურ გადასახადებზე და აღწერეთ ეს გადასახადები / აკრძალვები:

______

______

______

______

## ბლოკი 3

### კარცერ-ლუქსი



**1** გადაიკითხეთ ტექსტი წიგნში (ბლოკი 3, დავალება 4) და დაუკავშირეთ ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| ჯეელი | ქალაქში უამრავ კარცერს ავაშენებდი / მოვაწყობდი |
| საწევრო | შეუდარებელი, უნაკლო |
| მთელ ქალაქს კარცერებით მოვფენდი | სურვილის მიხედვით |
| ნებაყოფლობითი | გადასახადი ასოციაციაში, პარტიაში ან საზოგადოებაში წევრობისთვის |
| უბადლო | ახალგაზრდა |

**2** აღწერეთ, როგორ ექცევიან კარცერ-ლუქსის ბინადრებს:

**3** მეორე დავალებაში შედგენილი ტექსტის მიხედვით მოიფიქრეთ წესები კარცერ-ლუქსის ბინადრებისთვის: რა არის ნებადართული, რა ევალებათ, რა ეკრძალებათ / რა არის აკრძალული:

ა. კლიმისთვის – კარცერ-ლუქსის დარაჯისთვის:

| კლიმს უფლება აქვს | კლიმს ევალება კლიმს | ეკრძალება |
|---|---|---|
| | | |

ბ. კარცერ-ლუქსის ბინადრისთვის:

| კარცერ-ლუქსის ბინადრისთვის ნებადართულია | კარცერ-ლუქსის ბინადარი ვალდებულია | კარცერ-ლუქსის ბინადრისთვის აკრძალულია |
|---|---|---|
| | | |

**4** დღეს რომ იხდიდეთ გადასახადს კარცერ-ლუქსებისთვის, რა თანხის გადახდა მოგიწევდათ (რა ღირს ერთი ბოთლი ცუდი ან საშუალო ხარისხის ღვინო)?

საქართველოში ______________________________

თქვენს ქვეყანაში ______________________________

## ბლოკი 4

## ინტერნეტი და სამომხმარებლო ბაზარი საქართველოში



**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (9.2) და ამოწერეთ:

1. ინტერნეტის ტარიფის გაძვირების მიზეზი: ..............................
2. ვადა, რომლის განმავლობაშიც ტარიფები შეიცვლება, ..............................
3. არსებული მომხმარებლებისთვის ..............................
4. სერვისები, რომლთა ტარიფებიც გაძვირდა: ..............................

**2** ვიდეოჩანაწერში (9.2) მოცემული ინფორმაციის მიხედვით მონიშნეთ სავარაუდო პასუხი, რა შეიძლება გახდეს მომხმარებელთა უკმაყოფილების მიზეზი?

ა. ინტერნეტის ტარიფი გაიზარდა, მაგრამ სიჩქარე არ შეცვლილა.

ბ. ინტერნეტის ტარიფის ზრდა არ შეიძლება ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდებოდეს.

გ. ტარიფები მკვეთრად გაიზარდა, მოსახლეობა ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებს.



**3** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (9.3) და მიუსადაგეთ ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| კომუნიკაციების ომბუდსმენი | უკეთესი ხარისხის მიწოდება |
| ხარისხის გაუმჯობესება | ცხოვრების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყანა |
| სხვაობა ფასსა და ხარისხს შორის | ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს ამა თუ იმ მომსახურებას |
| მომხმარებელი | ინტერნეტის, ტელევიზიის, სატელეფონო კავშირების მომხმარებელთა ინტერესების დამცველი |
| განვითარებადი ქვეყანა | ტარიფი უფრო მაღალია, ვიდრე, მაგალითად, ინტერნეტის სიჩქარე |

**4** ჩაატარეთ მცირე კვლევა: გამოჰკითხეთ ჯგუფის წევრები ინტერნეტის მოხმარების შესახებ.

გაითვალისწინეთ შემდეგი ეტაპები:

ა. შეადგინეთ კითხვები (მაგ., საიდან სარგებლობთ ინტერნეტით: სახლიდან, უნივერსიტეტიდან, ინტერნეტკაფედან... დაახლოებით რამდენ დროს ატარებთ ინტერნეტში?);

ბ. შემუშავებული კითხვები დაუსვით ჯგუფის წევრებს;

გ. შეაჯამეთ გამოკითხვის შედეგები ჯგუფის წინაშე.

# თავი X

კვება

## ბლოკი 1

### ქართული ტრადიციული კულინარია

**1** წაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი1, დავალება 2) და განმარტეთ, რას გულისხმობს ავტორი, როცა ამბობს, რომ:



ა. ქართული კულინარიის ბევრი ნიმუში შეთვისებულია. (1-ლი მონაკვეთი)

ბ. ქართული კულინარია შემწყნარებელია. (1-ლი მონაკვეთი)

გ. ქართული სუფრა უნდა განვიხილოთ ისტორიულ და სინქრონულ ჭრილში. (მე-2 მონაკვეთი)

**2** ა. ავტორი ამბობს, რომ ქართული სამზარეულოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი საკმაზებია. რა არის საკმაზი?

ბ. იპოვეთ ტექსტში სიტყვა „საკმაზის“ სინონიმი:

**3** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (10.1) და ფრაზების ნომრები მიუწერეთ შესაბამისი მოსაუბრე პირის სახელს:



1. მასთან სტუმრად ჩამოდის შვილი ქმართან ერთად.
2. ქართული კერძების მომზადებაში ეხმარება ახლობელს.
3. სურს, ქართული სუფრა გაუშალოს სტუმრებს.
4. საზეიმო სუფრისთვის გამოაცხობს ხაჭაპურს.

| მოსაუბრე პირი | ფრაზის ნომერი |
|---|---|
| ნანა | |
| ლეილა | |

**4** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (10.1) და მონიშნეთ, რომელი კერძების მომზადებას გეგმავენ მეგობრები?



| | | | |
|---|---|---|---|
| ნიგვზიანი ბადრიჯანი | ☐ | მეგრული ხაჭაპური | ☐ |
| ელარჯი | ☐ | მჭადი | ☐ |
| გებჟალია | ☐ | ბაჟე | ☐ |
| იმერული ხაჭაპური | ☐ | მწვადი | ☐ |
| იმერული ყველი | ☐ | ღომი | ☐ |
| სულგუნი | ☐ | მეგრული ხარჩო | ☐ |

**5** ა. აუდიოჩანაწერის (10.1) მიხედვით, ჩაწერეთ ცხრილში გასინჯავენ თუ არა ნატუკა და ნიკო ჩაქაფულსა და ხინკალს?

| | კი / არა | თუ გასინჯავენ, სად და რა ვითარებაში? | თუ ვერ გასინჯავენ, რატომ? |
|---|---|---|---|
| ჩაქაფული | | | |
| ხინკალი | | | |

ბ. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ორი რეცეპტი და გამოიცანით, რომელი მათგანია ჩაქაფულის, რომელი – ხინკლის.

1. ____________________

ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად. მოვამზადოთ საჭირო ინგრედიენტები. დავჭრათ ხახვი, ტარხუნა, ქინძი, ტარხუნას ფოთლები გავაცალოთ და ისე დავჭრათ. ქვაბში პირველ ფენად ჩავაწყოთ ხორცი, ზემოდან მოვაყაროთ დაჭრილი მწვანილი და რამდენიმე ტყემალი. ასე ფენა-ფენა ჩავაწყოთ ხორცი, ტყემალი და მწვანილი. მოვასხათ თეთრი ღვინო. თუ გსურთ, შეგიძლიათ ცოტაოდენი წყალიც დაუმატოთ. ქვაბი საშუალო ცეცხლზე დავდგათ და თავსახური დავახუროთ, არ მოვურიოთ. როდესაც ჩაქაფული მზად იქნება, კიდევ ჩავამატოთ ცოტა ტარხუნა და ცეცხლიდან გადავდგათ.

2.

ხორცი გავატაროთ საკეპ მანქანაში, მასთან ერთად გავატაროთ ხახვი და ქინძი. დავამატოთ პილპილი და მარილი გემოვნებით. ფარშს დავასხათ დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა გადადუღებული წყალი, რომ შიგთავსი იყოს წვნიანი.

წყალში ჩავყაროთ მარილი, დავამატოთ ფქვილი და მოვზილოთ ცომი. ცომი გავაბრტყელოთ, ჭიქით გამოვჭრათ მრგვალი ფორმის ცომის ნაჭრები და ისინიც გავაბრტყელოთ. ხორცი მოვათავსოთ გაბრტყელებულ ცომში და ნაპირები შემოვუხვიოთ. მოვხარშოთ მარილიან, ადუღებულ წყალში.

როცა ყველა ამოტივტივდება, შემდეგ ვადუღოთ კიდევ სამი წუთის განმავლობაში და ამოვიღოთ თეფშზე.

## ბლოკი 2

### კერძები რეგიონების მიხედვით: სვანეთი



**1** რომელია სწორი ინფორმაცია უშგულის შესახებ ვიდეოჩანაწერის (10.2) მიხედვით? მონიშნეთ სწორი პასუხები:

| | |
|---|---|
| უშგულის თემი ზემო სვანეთის ყველაზე მაღალი დასახლებაა. | |
| უშგულელები სათიბისა და საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. | |
| უშგულელი ქალები საძოვარზე წველენ ძროხას. | |
| უშგულის ყველა ოჯახში მზადდება რძის პროდუქტები. | |
| უშგულელებს საზაფხულოდ საქონლის შორს წაყვანა უწევთ. | |

**2** ცხრილის პირველ სვეტში მოცემულ სიტყვებს მეორე სვეტში მოუძებნეთ შესაბამისი განმარტება და ხაზებით დაუკავშირეთ:

| | |
|---|---|
| საიალაღოდ გადარეკვა | ბალახით დაფარული მინდორი, რომელზე მოჭრილ ბალახსაც საქონლის საკვებად იყენებენ. |
| საძოვარი | საქონლის საზაფხულო საძოვარზე, სოფლიდან მოშორებით წაყვანა. |
| სათიბი | ბალახით დაფარული მინდორი, სადაც ცხოველი ძოვს. |

**3** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (10.2 ე) და მონიშნეთ, რძის რომელი პროდუქტები მზადდება უშგულის თემის სოფლებში:



| | | | |
|---|---|---|---|
| ხაჭო | ☐ | ყველი | ☐ |
| ნადუღი | ☐ | კეფირი | ☐ |
| ნაყინი | ☐ | კარაქი | ☐ |
| ნაღები | ☐ | ერბო | ☐ |
| არაჟანი | ☐ | იოგურტი | ☐ |
| მაწონი | ☐ | შესქელებული რძე | ☐ |

**4** ა. გადახედეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 2, დავალება 7) ჩამოყალიბებულ წესს და მიუწერეთ ზმნებს შესაბამისი მიმღეობა:

| ზმნა | მიმღეობა |
|---|---|
| ჭყლეტს | |
| ზელს | |
| ახურებს | |
| დებს | |

ბ. მოუსმინეთ ჭიშტვარის მომზადების წესს ვიდეოჩანაწერიდან (10.2 ვ) და წინადადებები შეავსეთ შესაბამისი მიმღეობებით.



ჭიშტვარი მჭადის ფქვილთან ერთად ................ (უკვე დაჭყლიტეს) ყველია. ჭიშტვარისთვის უწყლოდ ................ (უკვე მოზილეს) ცომი გამოიყენება. ჭიშტვარს ................ (უკვე გაახურეს) ფიქლის ქვაზე აცხობენ. ფიქალი ერთგვარი ქვაა, რომელიც სვანური სახლის შუაცეცხლზეა .................... (უკვე გადეს).

**5** ნახეთ ვიდეოჩანაწერში (10.2 გ) სვანური ტრადიციული კერძის, მერწვის მომზადების წესი და მონიშნეთ, რომელია სწორი:



| | |
|---|---|
| სვანეთში განსაკუთრებულად გემრიელი კარტოფილი მოჰყავთ. | ☐ |
| მერწვი ერთ-ერთ მეგრულ კერძს, ელარჯის ჰგავს. | ☐ |
| კარტოფილის დასაჭყლეტად უშგულელები ძველებურ საჭყლეტს იყენებენ. | ☐ |
| უშგულის ყველი განსაკუთრებულად უცხიმოა. | ☐ |
| მერწვში კარტოფილი უფრო მეტია, ვიდრე ყველი. | ☐ |
| მერწვში ყველი რაც შეიძლება გრძლად უნდა იწელებოდეს. | ☐ |

**6** კიდევ ერთხელ ნახეთ ვიდეოჩანაწერში (10.2 გ) მერწვის მომზადების წესი და დაწერეთ რა არის საჭირო მის მოსამზადებლად? ნიმუშის მიხედვით შეავსეთ მიმღეობებით:



მოხარშული, ................................ და ........................................ კარტოფილი;

.................................... რძე;

.................................... ყველი.

**7** ვიდეოჩანაწერში (10.2 დ) ნახეთ კუბდარის მომზადების წესი და ამოწერეთ ინფორმაცია კუბდარის შესახებ:



კუბდარი ცომეულია, რომელიც ჰგავს .................... . .................... განსხვავებით, კუბდარს ყველის ნაცვლად აქვს .............................. . კუბდარში, ხინკლის მსგავსად, ხორცის წვენი გროვდება, ამიტომ მას მიირთმევენ .................................. .

**8** ა. რომელი მარცვლეულის ფქვილი გამოიყენება კუბდარის მოსამზადებლად? შემოხაზეთ შესაბამისი ფოტოს ნომერი:



1. ქერი



2. ხორბალი



3. ჭვავი

ბ. რომელი ხორცეული გამოიყენება კუბდარის მოსამზადებლად? შემოხაზეთ შესაბამისი ფოტოების ნომერი:



1. ჯიხვი



2. ხოხობი



3. ძროხა


4. კალმახი


5. გარეული ღორი


6. გარეული იხვი

**9** გაიხსენეთ და დაწერეთ თქვენი ქვეყნის რომელიმე ტრადიციული კერძის რეცეპტი სქემის მიხედვით:

კერძის დასახელება: ______________________

| ინგრედიენტები და მათი რაოდენობა: | მომზადების წესი: | როგორ მიირთმევენ? |
|---|---|---|
| | ჯერ | |
| | | |
| | | |
| | შემდეგ | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | ბოლოს | |
| | | |
| | | |
| | | |

## ბლოკი 3

# კვების ობიექტები საქართველოში

**1** ა. აღწერეთ, რა საფრთხე ემუქრება ქართულ ტრადიციულ რესტორნებს უილიამ დანბარის აზრით?

ბ. რა არის ამ საფრთხის მიზეზი?

**2** შემსწავლელის წიგნის (ბლოკი 3, დავალება 3 ბ) ტექსტის მიხედვით უპასუხეთ, სწორია თუ არასწორი:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| უილიამ დანბარის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი ქართულ რესტორნებს აკრიტიკებს. | | |
| ქართულ რესტორნებში კერძების რაოდენობა შეუზღუდავია. | | |
| ტურისტების მხრიდან პირველ „შოკს“ საქართველოში სამზარეულო იწვევს. | | |
| ქართული სარესტორნო ბიზნესის დიდი ნაწილი კულინარიულ პრობლემებს აღიარებს. | | |
| ქართული რესტორნები შენიშვნას იღებენ და რესტორნის სამზარეულოს ამრავალფეროვნებენ. | | |

**3** სტატიის მიხედვით აღწერეთ, როგორია ქართული რესტორნების უმრავლესობის მენიუ.

**4** კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 3 ბ) და უპასუხეთ შეკითხვებს:



ა. სტატიაში ვკითხულობთ: „მკითხველთა ნაწილი უცხოელის მიერ მისი ქვეყნის ეროვნული კერძების „აუგად“ მოხსენიებამ გააღიზიანა.“

დაწერეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს „აუგად მოხსენიება”.



ბ. უილიამ დანბარი ამბობს: „იქნებ ქართული საჭმელი სინამდვილეში ძალიან მოსაბეზრებელია და ჩვენ უბრალოდ ისე გავისიგრძეგანეთ ქართული საჭმლის განსაკუთრებულობის იდეა, რომ მართლაც ვიწამეთ მისი?“

განმარტეთ, რას ნიშნავს „გავისიგრძეგანეთ“.

**5** სტატიაში გამოთქმულთაგან რომელ მოსაზრებას ემხრობით და რატომ?

**6** გაეცანით რესტორნებისა და კაფე-ბარების აღწერილობებს, მათგან გამომდინარე დაწერეთ, რომელ სიტუაციაში სად წახვიდოდით:



| | | რესტორნებისა და კაფე-ბარების დასახელება |
|---|---|---|
| 1 | თუ გსურთ, მეგობრებთან ერთად დააგემოვნოთ ევროპული კერძები. | |
| 2 | თუ გსურთ, ხალხურ მუსიკას მოუსმინოთ და ეროვნული კერძები მიირთვათ. | |
| 3 | თუ გსურთ, სახლში მოგიტანონ ქართული კერძები. | |
| 4 | თუ გსურთ გვიან ღამით, გემოვნებიანი მუსიკა მოისმინოთ. | |




აღწერა:
ბეღელი მშრალი მარცვლეულის, ფქვილის შესანახი ადგილია. სავსე ბეღელი ოდითგანვე ბარაქიანობის სიმბოლოდ ითვლებოდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ რესტორნისთვის „ბეღელი“ დაგვერქმია.

„ბეღელი“ 2008 წლის მარტში გაიხსნა და „ელიზი ჯგუფის“ შემადგენლობაში შედის. რესტორანი ორსართულიანია და 300 კაცზეა გათვლილი, ქვედა სართულზე ორი მყუდრო კუპეა.

რესტორნის მენიუში ძირითადად ქართული კერძებია. გახსნის დღიდან რესტორანი მუშაობს პრინციპით „ვიყენებთ მხოლოდ ახალ ხორცს“. სწორედ ამიტომ ჰყავს რესტორანს მუდმივი სტუმრები: მოდიან ოჯახებით, ბავშვებთან ერთად, საქმიან და სადღესასწაულო სადილებზე, უცხოელ სტუმრებთან ერთად. ზუსტად უცხოელი სტუმრებისთვის ქართული სამზარეულოს შედევრების გასაცნობად შეიქმნა საფირმო კერძი „ბეღელი ბეღელში“.

2010 წლიდან „ბეღელმა“ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო გამოძახებით კერძების ადგილზე მიტანა და ძალიან მალე გახდა პოპულარული.

მობრძანდით „ბეღელში“, მიირთვით ჩვენი უგემრიელესი ხინკალი და ქაბაბი, მწვადი და ხაჭაპური, კანჭი და „კრაბის ქაბაბი“, ჩვენთან თონეში გამომცხვარი ცხელ-ცხელი კახური შოთის პურები, დააგემოვნეთ ქართული ღვინოები.

სამუშაო საათები:
10:00 - 23:00

ფასების დიაპაზონი:
10 – 20 ლარი

დამატებითი მახასიათებლები:
პარკინგი, წინასწარი დაჯავშნა, გადახდა ბარათით




აღწერა:
მწვანე ტერასა არის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი რელაქსაციისათვის, მეგობრული შეხვედრებისათვის, გასართობად და უბრალოდ კარგი განწყობის შესაქმნელად. ევროპული სამზარეულო, მყუდრო გარემო და ხალისიანი მომსახურე პერსონალი ჩვენი წარმატებაა!

სამუშაო საათები:
12:00 - 00:00

ფასების დიაპაზონი:
15 - 25 ლარი

დამატებითი მახასიათებლები:
პარკინგი, წინასწარი დაჯავშნა, გადახდა ბარათით




აღწერა:
სულთან ბარი გთავაზობთ მშვიდ და კომფორტულ გარემოს დროის სასიამოვნოდ გასატარებლად. გვესტუმრეთ კანდელაკის №63-ში (13:00-03:00) და დააგემოვნეთ ქართულ-

ევროპული სამზარეულო საუკეთესო ჩილიმთან ერთად.
ბარში იდეალურ განწყობას გემოვნებიანი მუსიკა შეგიქმნით.

სამუშაო საათები:
10:00 - 23:00

ფასების დიაპაზონი:
30 ლარი - 60 ლარი

დამატებითი მახასიათებლები:
წინასწარი დაჯავშნა, გადახდა ბარათით

წისქვილი

რესტორან-მუზეუმი
**რვაჯერ ოქროს ბრენდის ჯილდოს მფლობელი**

კომპლექსი წისქვილი აერთიანებს ორ რესტორანს არაჩვეულებრივი ეზოთი და ჩანჩქერით – წისქვილი და ლუდის მოედანი. აქ თქვენ შეგიძლიათ დააგემოვნოთ უგემრიელესი ქართული კერძები და ისიამოვნოთ ქართული ფოლკლორული ცეკვებითა და სიმღერებით საუკეთესო ანსამბლების შესრულებით. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს რესტორნის უნიკალური არქიტექტურა.

**ეს არის ადგილი, რომელსაც აუცილებლად უნდა ეწვიოთ თბილისში.**



## ბლოკი 4

### ჩიხირთმა თუ ბოზბაში



**1** შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 3) წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა. თქვენი აზრით, ვინ არიან ერთმანეთისთვის ლუარსაბი და დარეჯანი?

---

ბ. როდის გაიმართა კამათი ლუარსაბსა და დარეჯანს შორის?

---

გ. სადავო კერძების გარდა, კიდევ რომელი კერძის მომზადებას გეგმავენ ლუარსაბი და დარეჯანი მეორე დღისთვის?

---

**2** შემსწავლელის წიგნის ტექსტის (ბლოკი 4, დავალება 3) მიხედვით მონიშნეთ, რომელია სწორი და რომელი – არასწორი:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ჩიხირთმას დესერტად მიირთმევენ. | | |
| ბოზბაში ხორციანი კერძია. | | |
| ბოზბაშს პურთან ერთად მიირთმევენ. | | |
| ჩიხირთმა წვნიანია. | | |
| ბოზბაშს ვახშამზე არ მიირთმევენ. | | |

**3** რას ნიშნავს კვებასთან დაკავშირებული შემდეგი ფრაზები? შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. ვახშამი გადავაგორეთ.

ა. ვახშამი გასაკეთებელი გვაქვს;

ბ. ვახშამი უკვე ვჭამეთ;

გ. ვახშამი უგემური იყო.

2. პირში გემო არა გქონია.

ა. გემრიელ საჭმელს ვერ აკეთებ;

ბ. ბევრს ვერ ჭამ;

გ. გემოვნება არ გაქვს.

3. არტალაზე ვაცივით ვარ.

ა. არტალა არ მიყვარს;

ბ. არტალის გაკეთება კარგად ვიცი;

გ. არტალა ძალიან მინდა.

**4** ა. მოიფიქრეთ და დაწერეთ სხვა კერძების წყვილები. ორივე კერძი ერთნაირი ტიპის უნდა იყოს – ორივე ცომეული, ორივე დესერტი და ა.შ.



მაგალითად ხაჭაპური თუ ლობიანი?

ბ. მიუთითეთ, რა აქვს საერთო და განსხვავებული თქვენ მიერ მოფიქრებული კერძების წყვილებს.

**5** მოიფიქრეთ და დაწერეთ, როგორ დასრულდება ლუარსაბისა და დარეჯანის კამათი? რომელ კერძს გააკეთებენ მეორე დღისთვის?



**6** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (10.6) და დაწერეთ, როგორ გადაიჭრა კახეთში კულინარიული დილემა – ჩიხირთმა თუ ბოზბაში?



# თავი XI

## სწორი კვება და ჯანმრთელობა

### ბლოკი 1

### სწრაფი კვება



**1** წაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 1, დავალება 3) და შემოხაზეთ, ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია სწორი:

ა. ავტორს ძალიან უყვარს საჭმელების მომზადება;

ბ. მაღაზიაში ყოფნისას ავტორი დაწვრილებით ეცნობა პროდუქტების შემადგენლობას;

გ. ავტორის აზრით, ჯანსაღ კვებაზე ზრუნვა სახელმწიფოს საქმეა.

**2** განმარტეთ, რას ნიშნავს ტექსტში (შემსწავლელის წიგნი ბლოკი 1, დავალება 3) გამოყენებული ფრაზები:

ჯანსაღი კვება (სტრიქონი 6)

---

„ქუჩის“ კვება (სტრიქონი 16)

---

კონსერვირებული საკვები (სტრიქონი 8)

---

კეთილსინდისიერება (სტრიქონი 7)

---

**3** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (11.1):



ა. ამოწერეთ სწრაფი კვების ობიექტები, რომლებიც ვიდეოშია ნახსენები:

---

---

ბ. ამოწერეთ სწრაფი კვების კერძები, რომლებიც ვიდეოში ნახსენები:



**4** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (11.1) კიდევ ერთხელ და ამოწერეთ, რას ამბობენ სიუჟეტში გამოკითხული ადამიანები:



| | რა მიზეზით მიირთმევს შაურმას? |
|---|---|
|  | |
|  | |
|   | |

**5** ვიდეოჩანაწერის (11.1) მიხედვით, რას ფიქრობენ გამოკითხული ადამიანები მაკდონალდსის შესახებ? ცხრილში მიუწერეთ შესაბამისი ფოტოს ასო.

| თვლის, რომ ძვირია: | თვლის, რომ გემრიელი საჭმელებია: | თვლის, რომ ხაჭაპური უკეთესია: |
|---|---|---|
| | | |


















**6** ქვემოთ მოცემულ ფრაზებს მიუწერეთ მე-5 დავალებიდან შესაბამისი ფოტოს ასო.

1. მაკდონალდს კარგი მომსახურება აქვს და ჰიგიენური პირობები დაცულია. ....................

2. მაკდონალდსში ისვენებს ხოლმე. მოსწონს მაკდონალდსის მაკშეიკი. ................................

3. ყველაზე მეტად მოსწონს ნაყინი. ......................................................................................

4. ფასს ყურადღებას არ აქცევს, რადგან მისთვის მაკდონალდსის საჭმელები ძალიან გემრიელია. ..........................................................................................................................

5. თვლის, თუ შემოსავალი არ გაქვს, მაკდონალდსში ვერ ივლი. ..........................................

6. მაკდონალდსის ხშირი სტუმარია. უყვარს ყველა მენიუ. ..................................................

**7** ჩაატარეთ გამოკითხვა ჯგუფში:

ა. მცირე ჯგუფებში მოიფიქრეთ შეკითხვები და ჩამოწერეთ დაფაზე;

ბ. ჯგუფის ყველა წევრმა უპასუხოს შემუშავებულ კითხვარს;

გ. შეაჯამეთ გამოკითხვის შედეგები დაფაზე.

## ბლოკი 2

## კვება, სასარგებლო ნივთიერებები და ჯანმრთელობა

**1** თქვენი აზრით, არის თუ არა კავშირი სწორ კვებასა და ადამიანის განვითარებას / ჯანმრთელობას შორის? მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე არასწორ კვებას.

**2** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (11.2) და მიუწერეთ სახელები, ვის მიემართება ქვემოთ მოცემული ფრაზები, დაჩის თუ ნინოს?



ჯანსაღ კვებას აქცევს ყურადღებას. ..........................................................

ძალიან უყვარს მწვადი. ..........................................................

ცხიმიან საკვებს არ ჭამს. ..........................................................

დიდ ყურადღებას არ აქცევს საკვების შემადგენლობას. ..........................................................

დიეტაზეა. ..........................................................

**3** ცხრილის მე-2 სვეტის სიტყვები დაასრულეთ -ის და -ისკენ დაბოლოებებით:

| | |
|---|---|
| ისპანახი | ზედმეტად ცხიმიანია ... . |
| ნიგოზი | არადიეტურია ... . |
| კიტრისა და პომიდვრის სალათა | კარგია მხედველობისთვის ... . |
| მაიონეზიანი სალათა | ჯანსაღი და გემრიელია ... . |
| ხაჭაპური | სასარგებლოა ... . |

**4** ჩამოთვლილი კერძებიდან რომელი შეუკვეთეს დაჩიმ და ნინომ? მონიშნეთ სწორი პასუხები:

- აჯაფსანდალი ☐
- მჭადი ☐
- სულგუნი და იმერული ყველი ☐
- ხინკალი ☐
- მეგრული ხაჭაპური ☐
- მაიონეზიანი სალათა ☐
- ბაჟე ☐
- შემწვარი წიწილა ☐
- თევზი ☐
- ნიგვზიანი ბადრიჯანი ☐
- ისპანახი ☐
- ღორის მწვადი ☐
- კიტრისა და პომიდვრის სალათი ☐

**5** შეავსეთ ფრაზები უჯრაში მოცემული სიტყვებით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაკლებცხიმიანი | მსუბუქი | უმარილო | მარცვლეულის |
| ნაჭერი | ტკბილეული | ნოყიერი | |

ა. რეკომენდებულია, საუზმეზე მიიღოთ ........................................... ფაფა.

ბ. სადილი ............................................. უნდა იყოს, ვახშამი კი ............................................. .

გ. უმჯობესია, მცირე რაოდენობით მივირთვათ ............................................. .

დ. რძის პროდუქტები ............................................. და ............................................. უნდა იყოს.

ე. დღის განმავლობაში საჭიროა ერთი ............................................. პურის მიღება.

**6** შეადგინეთ ჯანსაღი კვების რჩევები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ მეორე კავშირებითის ფორმები):

მაგალითად

ერთსა და იმავე დროს ჭამა
სასურველია, ერთსა და იმავე დროს ჭამოთ.

ა. 3-4-საათიანი ინტერვალის დაცვა
სასურველია, ............................................................................................................. .

ბ. მსუბუქი ვახშმის მირთმევა
უმჯობესია, ............................................................................................................. .

გ. დღეში ოთხჯერ ჭამა
რეკომენდებულია, ............................................................................................................. .

დ. ნოყიერად სადილობა
შეგიძლიათ, ............................................................................................................. .

ე. ხილისა და ბოსტნეულის მიღება
სასარგებლოა, ............................................................................................................. .

## ბლოკი 3

### ჯანსაღი ცხოვრების წესი

**1** მონიშნეთ, რომელია სწორი და რომელი – არასწორი:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| თამბაქო კანცეროგენულ ნივთიერებებს შეიცავს. | | |
| თამბაქოს მოხმარება გულისა და ფილტვის დაავადებებს იწვევს. | | |
| მცირე დოზით ნიკოტინი სამკურნალოდ გამოიყენება. | | |
| სიგარეტის მოწევისას ჰაერი იწამლება. | | |
| მაღალი ხარისხის თამბაქო ორგანიზმს არ ვნებს. | | |

**2** მიუწერეთ ფოტოებს შესაბამისი სიტყვები:

ა


ბ


გ


დ


პირის ღრუ

არტერიული წნევა

თვალის გუგა

ფილტვები



**3** ქვემოთ მოცემული ფრაზები დაწერეთ თქვენი სიტყვებით:

ა. სიგარეტი ძლიერ დამოკიდებულებას იწვევს.

ბ. თამბაქოს მოხმარების ერთ-ერთი უარყოფითი შედეგია ნორმალური სუნთქვის დარღვევა.

დ. თამბაქოს მოხმარება გემოვნების შეგრძნების კლებას იწვევს.

ე. სიგარეტის მოწევიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ხშირდება გულისცემა.

**4** შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 5) წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ფრაზები საჭირო ზმნებით.

აზიანებს ზრდის ახშირებს იწვევს ამცირებს აქვეითებს

სიგარეტის მოწევა ........................................ არტერიული წნევის მომატებას. ........................................ მაჯისცემას. ........................................ ტუჩის, ენის, სასის, საყლაპავი მილის ლორწოვან გარსს. ........................................ მახსოვრობას და მხედველობას. ........................................ მწეველის სიცოცხლეს. ........................................ სხვადასხვა დაავადების რისკს.

## ბლოკი 4

### ჭარბი წონა და დიეტა

**1** დააკვირდით ფოტოს და იმსჯელეთ: თქვენი აზრით, აქვს თუ არა ჭარბი წონა და სჭირდება თუ არა დიეტა ფოტოზე გამოსახულ გოგოს?





**2** მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ, რა ფაქტორებმა შეიძლება შეგიშალოთ ხელი დიეტის დაცვის დროს?



**3** ნახეთ ვიდეობლოგი (11.4) და მე-2 დავალებაში გამოთქმული თქვენი ვარაუდები გადაამოწმეთ ენის მოსაზრებებთან.



ენის მოსაზრებები ამოწერეთ ცალკე:

დიეტის ხელის შემშლელი ფაქტორები:

**4** ამოწერეთ სამი მიზეზი, რომელთა გამოც, ენის აზრით, დიეტას იწყებენ.



1.

2.

3.

**5** თქვენ, თქვენი მეგობარი ან ოჯახის წევრი თუ ყოფილხართ დიეტაზე?

აღწერეთ თქვენი გამოცდილება დიეტაზე ყოფნის დროს: რა სახის დიეტას იცავდით? როგორი იყო თქვენი ემოციები? რა შედეგი მიიღეთ? / ან გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილებები ახლობელი ადამიანის დიეტაზე ყოფნის დროს: რომელ კერძებს / პროდუქტებს მიირთმევდა? რამდენად მკაცრი დიეტა იყო? რამდენი კილო დაიკლო?

# თავი XII

## კავკასია

### ბლოკი 1

### კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა

**1** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (12.1) და უპასუხეთ შეკითხვებს:



ა. ვინ საუბრობს? მონიშნეთ სწორი პასუხი:

1. ორი მეზობელი;
2. მასწავლებელი და მოსწავლე;
3. ორი მეგობარი;
4. ლექტორი და სტუდენტი.

ბ. რა პირობით პასუხობს დათო გიორგის შეკითხვებს?

---

გ. მონიშნეთ სწორი ფრაზები დათოს პასუხების მიხედვით:

კავკასია შავ, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის მდებარეობს. ☐

კავკასიის რეგიონის ფართობია 560 ათასი კვადრატული მეტრი. ☐

ქართული ენა ქართველურ ენათა ჯგუფში შედის. ☐

რუსული ენა ალთაურ ენათა ოჯახში შედის. ☐

სომხური ინდოევროპული ენაა. ☐

**2** წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:



### კავკასიის ეთნიკური შემადგენლობა

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალთაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფები. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია ქართველები, ისინი ცხოვრობენ კავკასიონის შუა ნაწილის სამხრეთ კალთაზე. ამ ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ყველა სხვა ხალხი, აფხაზების გარდა, დასახლებულია კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე.

კავკასიაში მცხოვრებ ხალხთაგან ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან რუსები, უკრაინელები, სომხები და ირანის ჯგუფის ხალხები – ოსები.

კავკასიაში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ ბერძნები, ასურელები, მოლდაველები, ესტონელები, მორდველები, კორეელები, ბოშები. კავკასიის მორწმუნე მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს. მართლმადიდებლები არიან: ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, მოზდოკის ყარაბდოელები; მონოფიზიტები – სომხები. დანარჩენი ხალხების უმრავლესობა მუსლიმანები არიან. კავკასიაში ასევე ცხოვრობენ შიიტები, სუნიტები იუდეველები...

მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სხვაობისა, კავკასიელებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, აგრეთვე საერთო ისტორიული ბედი, კულტურებისა და ტრადიციების მსგავსება. კავკასიის ბუნების სილამაზეს, მის მცხოვრებთა ტრადიციებს ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები მიეძღვნა, მათ შორის აღსანიშნავია: „კავკასია" – ალექსანდრე დიუმას (მამა) ნაწარმოები, პუშკინის „კავკასიელი ტყვე", ლერმონტოვის რომანი „ჩვენი დროის გმირი", ტოლსტოის რომანები – „კაზაკები" და „ჰაჯი მურატი".

**3** ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ, რომელია ჩამოთვლილთაგან არასწორი:

ა. კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი;

ბ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია ქართველები;

გ. ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან აფხაზები.

**4** ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ მართებული ფრაზები:

ა. კავკასიაში ცხოვრობენ ასევე ბერძნები, ასურელები, ესტონელები, ბოშები...

ბ. კავკასიელებს ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო ისტორიული ბედი...

გ. ალექსანდრე დიუმა არ ყოფილა კავკასიაში.

დ. რუსები არიან მუსლიმები.

**5** ჩაწერეთ, კავკასიელ ხალხთაგან რომელი მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს და რომელი ინდოევროპულ ენათა ოჯახს?



| იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი | ინდოევროპულ ენათა ოჯახი |
|---|---|
| | |

**6** ტექსტში მოცემულია, რომ კავკასიაში მცირე ჯგუფებად ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი. დააკვირდით ფოტოებს და დაუკავშირეთ, რომელი ეროვნების ხალხია გამოსახული:

| ფოტო | ეროვნება |
|---|---|
|  1 | ბოშები |
|  2 | კორეელები |
|  3 | ბერძნები |
|  4 | ქართველები |



# ბლოკი 2

## კავკასიელები

**1** გაეცანით ალექსანდრე დიუმას წიგნ „კავკასიის“ ანოტაციებს და მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი:

ალექსანდრე დიუმა, ფრანგი მწერალი, არა მარტო ნაყოფიერი რომანისტი და დრამატურგი იყო, არამედ ცნობისმოყვარე მოგზაურიც. მან დატოვა შთაბეჭდილებათა საყურადღებო წიგნი კავკასიის შესახებ. დიუმა განსაკუთრებული სიმპათიით ლაპარაკობს ქართველებზე.

წყარო: http://lit.ge/book/1297-kavkasia-aleqsandre-diuma/

ალექსანდრე დიუმა, რომელმაც ამ წიგნით კავკასია მსოფლიოს გააცნო, უამრავ საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ რეგიონის იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რუსეთის ფაქტორზე კავკასიის ქვეყნებში, კავკასიის ხალხების ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე, რომლებსაც ზოგან დასცინის, ზოგან კი ხოტბას ასხამს. ცალკეულ ეპიზოდებში, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ჩვენ თავად მწერლის ხასიათს ამოვიკითხავთ. ვაფასებთ მის მიერ შეფასებულს, ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით და ასე მივდივართ წიგნის დასასრულამდე: ვმსჯელობთ, ვაკრიტიკებთ, ვადარებთ სხვაგან წაკითხულს... ამასობაში კი ძვირფას ინფორმაციას ვიღებთ, რომელიც არაერთხელ დაგვაფიქრებს დღევანდელობაზე და უნებურად გვათქმევინებს: ისტორია მეორდება.

წყარო: https://saba.com.ge/books/details/2426/კავკასია

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ალექსანდრე დიუმამ კავკასიაში იმოგზაურა. | | |
| ალექსანდრე დიუმა კავკასიური წეს-ჩვეულებებით აღფრთოვანებულია. | | |
| მწერლის მოსაზრებები დღესაც აქტუალურია. | | |
| ამ წიგნით გაიცნო კავკასია იმდროინდელმა მსოფლიომ. | | |



**2** გადაიკითხეთ ნაწყვეტი ალექსანდრე დიუმას დოკუმენტური რომანიდან შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 2, დავალება 2) და დაუკავშირეთ ერთმანეთს ცხრილის ფოტოები და განმარტებები:













| |
|---|
| ა. მოთელილი მატყლისაგან განსაკუთრებული წესით დამზადებული კაცის წამოსასხამი. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო მწყემსის ნაბდები. ადამიანი შეიძლება ნაბადში ისე კარგად გაეხვიოს, რომ სხეული მთლიანად ჰქონდეს დაფარული. |
| ბ. ბეწვიანი (ცხვრის) ტყავის მაღალი ქუდი. უმეტესად იყენებენ მწყემსები. |
| გ. კაცის მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი. |
| დ. მამაკაცის წელში გამოყვანილი ტრადიციული კავკასიური ტანსაცმელი, გახსნილი სახელოებით. |

**3** ალექსანდრე დიუმა წერს: „ლეკებს, ჩეჩნებს თუ ჩერქეზებს, რომელთაც დაკონკილი ძველმანები აცვიათ, აქვთ თოფი, ხმალი, ხანჯალი ან დამბაჩა, რომელთაგან თითოეული ორ-სამ ათას მანეთად ფასობს."

**რა არის „თოფი, ხმალი, ხანჯალი და დამბაჩა"?**

ა. ტანსაცმელი;

ბ. იარაღი;

გ. ცხენის აღჭურვილობა.

**4** როგორია თქვენი ქვეყნის მცხოვრებთა ტრადიციული ჩაცმულობა? მოიძიეთ ფოტო / სურათი ინტერნეტში და გააცანით ჯგუფს თქვენი ქვეყნის ეროვნული სამოსი.

## ბლოკი 3

### სტუმარმასპინძლობის ტრადიცია

**1** ნახეთ ნაწყვეტი ქართული ფილმიდან „ჩარირამა“ (12.2) და უპასუხეთ კითხვებს:



ა. რომელი ქართული რიტუალია აღწერილი ნაწყვეტში?

ბ. რა არის ქართული საზეიმო სუფრისთვის დამახასიათებელი?

გ. რამდენი ვაჟიშვილის ქორწილს იხდის ოჯახი?

დ. ვის მიმართ გამოხატავს მადლიერებას ოჯახის მასპინძელი სადღეგრძელოში?

ე. რა მოსწონს ფრანგ სტუმარს?

ვ. რომელ საზეიმო სუფრას დასწრებიხართ სხვა ქვეყნაში?

**2** დაწერეთ, როგორ გესმით ხაზგასმული სიტყვები?



ა. ჩემო შვილებო, მართალია, ერთად გამიფრინდით ბუდიდან.

ბ. ჩვენზე ბედნიერი დღეს არავინ მეგულება დუნიაზე.

გ. ქორწილი კი არა, გამისკდა ყურის ბარაბანი.

დ. მოგვჭრა თავი მთელი მსოფლიოს წინაშე.

**3** მოცემული სიტყვებიდან არასალიტერატურო ფორმებს გაუსვით ხაზი:

გამარჯობა; შე კაცო; ჩემო შვილებო;

რავა; საყვარელო სტუმრებო;

ნება მომეცით; რას შობი; მოილხინეთ.

**4** ფილმიდან (12.2) ამოირჩიეთ ქართული ქორწილისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნივთი/ ტრადიცია და იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს მას? (მაგალითად: თეფშის გატეხვა, თამადა, თეთრი კაბა...)

**5** ა. ყოფილხართ თუ არა ქართულ ქორწილში და ხედავთ თუ არა მსგავსებას ფილმში ნაჩვენებ საქორწილო სუფრასთან?

ბ. დაწერეთ, რომელი ქვეყნის სუფრის ტრადიციას იცნობთ, რითია ის გამორჩეული?



______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________



**6** დაიყავით სამკაციან ჯგუფებად. ნახეთ ვიდეობლოგი (12.3 ა) და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები. გაუცვალეთ თქვენი ფურცელი სხვა ჯგუფს, მოუსმინეთ კიდევ ერთხელ და შეამოწმეთ, რამდენად სწორად აქვთ ჩასმული სიტყვები.

სტუმარმასპინძლობა ეს არის ჩვენი ........................................ . ნებისმიერ ვიდეორგოლში, რაც გადის დღესდღეობით, ყოველთვის ხაზგასმულია, თუ რა მაგარი ........................................ ვართ ჩვენ, ყველანი.

ჩემი პირველი ნაბიჯები მინდა გავიხსენო ამ ........................................ . არის ესეთი ძალიან ლამაზი ქალაქი კახეთის ბოლოში – ........................................ , სადაც ხშირად ვატარებდი დროს ზაფხულში, ბებია-ბაბუა. ........................................ ბებია მყავდა ძალიან გახსნილი და ,,ჩამოხვედი, ბებო?“ – ესე დამხვდებოდა ხოლმე. ცოტა ესეთი, პუტკუნა ქალი იყო და ძალიან, ასე ვთქვათ, მიყვარდა ზოგადად იქ ჩასვლა.

ერთ დღესაც გავიგე ესეთი რაღაც, რომ სტუმრები მოდიან სხვა ქალაქიდან და ყველას ძალიან ........................................ , თუმცა მე ვიყავი პატარა და ძალიან ........................................ ვერ გავიგე, რატომ უხაროდათ ამ ადამიანებს სტუმრების მოსვლა. მერე ჩემმა ძმამ მითხრა, რომ იქ შოკოლადებს ........................................ , საოცნებო ,,ტადელი“ შეიძლება მოეტანათ, მაშინ იყო პეჩენია „პიკნიკი“ და შოკოლადი „ტადელი“, ,,სნიკერსი“ ჯერ არ იყო. ბებიამ გვერდზე გამიყვანა და ესეთი, იმერული, კილოთი მითხრა – ჰე, ახლა ნუ იტუზები კართან და ........................................ სტუმრებს, როგორც კი ჩამოვლენ და თან მომაძახა, რომ თემო ძიაც ჩამოვაო და უნდა ........................................ .

მოსაღამოვდა. მამალი უკვე ........................................ , სუფრა გაშლილია, სახლი დალაგებულია და ყველანი ვართ ........................................ . სიგნალის ხმით მივხვდით, რომ სტუმრები ჩამოვიდნენ და ყველა იქით გაიქცა.

გაჩაღდა ........................................ , როგორც არის ხოლმე ქართულ ტრადიციებში. ბიძაჩემი დადგა ........................................ . ვაქცევდით ........................................ სტუმრებს. იქ სხვადასხვა კერძები შემოდიოდა. ამ დროს მეძახის ბებიაჩემი, რომ მოდი ეხლა და ........................................ სიმღერა იმღერეო.

ძალიან ლამაზად ჩაიარა ამ საღამომ. მეზობელმა გიამ ........................................ ერთი-ორი, ერთი-ორი სახლშიც ........................................ , და რაღაცნაირად მივხვდი, რომ თითქოს უფრო სხვანაირი გავხდი, რაღაც ცოტა უფრო გავიზარდე. ძალიან ტკბილ ........................................ იქცა ეს საღამო, კონკრეტულად, სადღაც 20-22 წლის ........................................ , რასაც ვერ შევადარებდი 3 თვის უკანდელ საღამოს.

**7** გააგრძელეთ ვიდეობლოგის (12. 3 ბ) მოსმენა და მონიშნეთ, რა მოხდა იმ საღამოს? სწორი პასუხები აღნიშნეთ √ სიმბოლოთი.

ა. რესტორანში მისვლისთანავე მომსახურე პერსონალი შემოეგება მეგობრებს.

ბ. მიმტანი არ იყო კეთილგანწყობილი მათ მიმართ.

გ. მეგობრები ერთმანეთს ჟესტების ენით ესაუბრებოდნენ.

დ. მეგობრებს ძალიან მოეწონათ რესტორანში გატარებული დრო, წამოსვლა აღარ უნდოდათ.

**8** მოუსმინეთ ვიდეობლოგს (12.3 ბ) ბოლომდე და დაწერეთ, რა აწუხებს გადაცემის ავტორს და რაზე ოცნებობს იგი?



## ბლოკი 4

## საქართველოს ქისტები

**1** შემსწავლელის წიგნის ტექსტის (ბლოკი 4, დავალება 2) მიხედვით მონიშნეთ სწორი ფრაზები.

ჩეჩნური ლეგენდის მიხედვით:

ა. ჩეჩენი მწყემსები ცხვრებს ეძებდნენ და მთებში დაიკარგნენ.

ბ. პირველი პანკისელი ქისტები ჩეჩნეთიდან მტერს გამოექცნენ.

გ. ჩეჩენ მწყემსებს ქართული სტუმართმოყვარეობა მოეწონათ.

დ. მწყემსები საქართველოში ღმერთის სურვილით დასახლდნენ.

**2** შეავსეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები პირველი თურმეობითის ფორმებით:

ა. საქართველოში ქისტები XVIII-XIX საუკუნეში ........................................ (გადმოსახლდნენ).

ბ. ცხვრების საძებრად წამოსული მწყემსები კავკასიონის მთებში ........................ (დაიკარგნენ).

გ. ღამით მომხდარ უცნაურ ამბავში მწყემსებს ღვთის ნიშანი .................................... (დაინახეს).

დ. მწყემსებს ცხვრების ძებნა........................................ (შეწყვიტეს).

**3** ინტერნეტის დახმარებით მოძებნეთ რომელიმე ეთნოსის ისტორია და აღწერეთ მისი ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილას დასახლების ამბავი. გამოიყენეთ პირველი თურმეობითის ფორმები.

**4** წაიკითხეთ ნაწყვეტი, გახაზეთ ზმნები და გადაიყვანეთ პირველ თურმეობითში.



მთელ კავკასიაში მოქმედებს ერთი დაუწერელი კანონი – ღამის გასათევად, ან დახმარებისთვის მოსული კაცი სოფელმა უნდა მიიღოს, შეიფაროს, დააპუროს და მშვიდობით გაისტუმროს სოფლის ბოლომდე.

**5** ცხრილში მოცემული ზმნები გადაიყვანეთ სხვადასხვა მწკრივის ფორმებში:

| უწყვეტელი | წყვეტილი | II კავშირებითი | I თურმეობითი |
|---|---|---|---|
| | იცხოვრა | | |
| ლოცავდა | | | |
| | | | უტარებია |
| | | გააცილოს | |
| | გაიხსენა | | |
| შედიოდა | | | |

# პასუხები

## თავი I

### ბიოგრაფია

#### ბლოკი 1

**1.**

ბიოგრაფია არის ადამიანის ცხოვრების აღწერა დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ავტობიოგრაფია კი არის საკუთარი ბიოგრაფია, რომელიმე პიროვნების მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერა.

**2.**

**ა.** კინომცოდნეობა;
მოკლემეტრაჟიანი;
რეჟისორი;
სცენარი.

**ბ.** ოპერატორი;
სცენარისტი;
მსახიობი.

**3.**

**ა.** სტრიქონი: 3-12

**4.**

**წმინდა ადგილი** – ადგილი, რომელიც რელიგიასთან არის დაკავშირებული.
**სალოცავი** – რაზედაც, ვისზედაც ლოცულობენ, ღვთაება, ხატი, რომელსაც ლოცვით ევედრებიან.
**მშობიარობა** – ბავშვის დაბადების პროცესი.
**გავჩნდი** – დავიბადე.
**ჩავირიცხე** – ჩავაბარე, (უნივერსიტეტში) მიმიღეს.

**5.**

სიწმინდე

**6.**

დავიბადე – გავჩნდი
წავიდა – მისულა
მივაღწიე – გავჩნდი
დავამთავრე, ვნახე, გადავწყვიტე, ჩავაბარე, გადავედი, შეიქმნა, მიიღო, დავიწყე, შედგა, ჩამოვიდა, გაცივდა, მოკვდა, დაიბეჭდა.

**7.**

ნახა;
გადაწყვიტა;
ისწავლა;
ჩააბარა;
გადავიდა.

**8.**

გამოაქვეყნა – მოთხრობა
შევიდა – სკოლაში
მიიღო – ჯილდო
გადაიღო – ფილმი

**9.**

დაიბადა – 1954 წლის 2 ოქტომბერს, დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში.
ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.
მისი პირველი საკურსო ფილმი იყო "ნამეხარი მუხა".
მწერლობა დაწყო 1977 წელს.
ინსტიტუტი დაამთავრა 1979 წელს.
პირველი წიგნი დაბეჭდა 1980 წელს გამომცემლობა "მერანში".
1982 წელს მოიყვანა ცოლი – ნინო.

## ბლოკი 2

### 4.

ვალენტინა ტერეშკოვა → კოსმონავტი
ლუი არსმტრონგი → მომღერალი
მიკ ჯაგერი → მომღერალი
ლევან თითმერია → მწერალი
გოგი დემეტრაძე → მასწავლებელი

### 6.

**ა.** ტომარა → მეშოკი
მეგობარო → ჯიგარო
როგორა ხარ ლევან? → როგორა ხარ ლევანი?

**ბ.** მეგობარს
ნაცნობს
უცნობს
ასაკოვან ხალხს
უფროსს/ ბოსს

## ბლოკი 3

### 1.

წლის, აპრილს, კომპანია "არსში", 34-ე, წელს, მე-4, აღმაშენებლის 153

### 2.

**ა.** 1. ათას, ჩვიდმეტი, იანვარს
2. სოფელ

**ბ.** 1. ცხრაას, სამოცდასამი, წლის სამი იანვარი.
2. სოფელ, დაიბადა.

## ბლოკი 4

### 1.

**ა.** სახელი, გვარი
**ბ.** სამუშაო გამოცდილება
**გ.** განათლება
**დ.** ტრენინგები
**ე.** ენები
**ვ.** კომპიუტერული უნარ-ჩვევები
**ზ.** დამატებითი ინფორმაცია
**თ.** ვადასტურებ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს.

### 4.

პირადი მონაცემები
პროფესიული გამოცდილება
საშუალო განათლება
უმაღლესი განათლება
ენების ფლობა
ტრენინგები
პრაქტიკა
საზოგადოებრივი საქმიანობა
სერტიფიკატები
სტიპენდიები
კომპიუტერული უნარ-ჩვევები

### 5.

პირადი მონაცემები, უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება, ენების ცოდნა.

# თავი II

## სამოტივაციო წერილი და გასაუბრება

### ბლოკი 1

**1.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | უმაღლესი განათლება | 1 | გუნდური მუშაობის უნარი |
| 1 | სტუდენტის სტატუსი | 1 | მომხმარებელთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები |
| 1 | კომუნიკაბელურობა | 2 | საბანკო პროდუქტების გაყიდვა |
| 2 | ახალი კლიენტების მოზიდვა | 1 | დაძაბული გრაფიკის პირობებში მუშაობის უნარი |
| 1 | მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა | 1 | ინგლისური და რუსული ენების ცოდნა |
| 2 | სატელეფონო ზარების განხორციელება | 2 | კლიენტებისთვის ბანკის პროდუქტების შეთავაზება |

**2.**

ა. CV, სამოტივაციო წერილი.
ბ. აუცილებელი არ არის (სასურველია).
გ. 1. მიიტანონ სააგენტოს ოფისში;
2. გააგზავნონ ელექტრონულ მისამართზე.

**3.**

ა. დამსაქმებელი არის კომპანია ან ადამიანი, რომელიც გვთავაზობს სამუშაოს.
ბ. **კომუნიკაბელურობა** – ურთიერთობის ადვილად დაწყების უნარი.
**ჰუმანიტარული განათლება** – კულტურასთან, ხელოვნებასა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული განათლება.
**გუნდური მუშაობის უნარი** – რამდენიმე ადამიანთან მუშაობის უნარი.

**4.**

| | |
|---|---|
| პროფესიული უნარ-ჩვევები | საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; უცხო ენის ცოდნა. |
| პიროვნული თვისებები | კომუნიკაბელურობა; გუნდური მუშაობის უნარი; პასუხისმგებლობის მაღალი დონე. |

### ბლოკი 2

**1.**

| სახელი და გვარი | ვაკანსიის დასახელება | განათლება | სამუშაო გამოცდილება |
|---|---|---|---|
| ლელა გრძელიძე | | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და საბანკო-საფინანსო საქმის კურსდამთავრებული. | სადაზღვევო აგენტად მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება სადაზღვევო კომპანია "ალდაგი BCI" – ში |

**2.**

| ეტაპი | სტრიქონი |
|---|---|
| კანდიდატის პროფესიული გამოცდილება და განათლება | 8-9, 14-16 |
| ზრდილობიანი დამშვიდობება | 27 |
| კანდიდატის საკონტაქტო ინფორმაცია | 2-3 |
| გასაუბრებაზე დაბარების თხოვნა | 25 |
| ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის წყარო | არ არის მოცემული |
| ზრდილობიანი მიმართვა | 7 |

## ბლოკი 3

### 1.

5. ძალიან დამაინტერესა თქვენ მიერ HR.COM.GE-ზე გამოცხადებულმა პროგრამისტის ვაკანსიამ.

4. ქალბატონო მარიამ,

1. მარიამ აბულაძე
ქ. თბილისი, 0136,
ბუდაპეშტის ქ. # 1
ტელ.: 577 14 57 92
ელფოსტა: m_abuladze@yahoo.com

7. იმედი მაქვს, ჩემი კანდიდატურით დაინტერესდებით და საშუალებას მომცემთ, გასაუბრებაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ ჩემ შესახებ.

3. ITDC-ს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, ქალბატონ მარიამ გოგოლაძეს

9. მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისადა გულისხმიერებისთვის.

6. მაქვს უმაღლესი განათლება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება: ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი Smart Web Studio-ს გუნდში და ჩემი მოვალეობა იყო კორპორაციული ვებგვერდების დამზადება. ასევე ვქმნიდი ახალ აპლიკაციებსა და პროგრამებს.

2. 20 იანვარი, 2014 წ.

10. პატივისცემით, მარიამ აბულაძე

8. მოხარული ვიქნები, თუ თქვენს კომპანიაში მუშაობის შესაძლებლობა მომეცემა.

### 2.

მსურს, დაინტერესებული ვარ, მოხარული ვიქნები, იმედი მაქვს, თავს ბედნიერად ჩავთვლი, მადლობას მოგახსენებთ

# თავი III

## პროფესიები

## ბლოკი 1

### 2.

ეკონომისტი;
ბიზნესმენი;
ბიზნესის ადმინისტრაცია;
იურისტი;
სამედიცინო;
ფსიქოლოგი;
საინჟინრო სპეციალობები;
საბუნებისმეტყველო სპეციალობები.

### 3.





| სახელი და გვარი | არჩეული პროფესია | პროფესიის არჩევის მიზეზი |
|---|---|---|
| კახი გაზდელიანი | მსახიობი | ბავშვობიდან უყვარს ფილმების ყურება |
| გიორგი ჭეიშვილი | გემის კაპიტანი | კარგი შემოსავალია, საინტერესოა |
| ნიკა ჩაჩხიანი | არქიტექტორი | პერსპექტიული და შემოსავლიანია |

## ბლოკი 2

**2.**

- [x] პრაქტიკული მაგალითები და ბევრი ინფორმაცია;
- [x] ბევრი საინტერესო საუბარი და დისკუსია;
- [ ] ბევრი საშინაო დავალება;
- [x] ბევრი მეცადინეობა კლასში;
- [ ] ბევრი დასაწერი დავალება;
- [x] ელექტრონული წიგნები.

## ბლოკი 3

**1.**

| | |
|---|---|
| ჯიუნეით ჩაქირი | ერთგული / უერთგულესი, სწორხაზოვანი... |
| ანდრეა პირლო | მშვენიერი |
| ანდრეს ინიესტა | მშვენიერი |
| ლეო მესი | ტკბილეულისმოყვარული |
| მარიო ბალოტელი | გიჟმაჟი |
| კრიშტიანუ რონალდუ | პოპულარული |
| ფრანჩესკო ტოტი | მოუხერხებელი |

**2.**

ა. ...თურქული არმიის უერთგულესი ასკერი იქნებოდა.
ბ. ... მშვენიერი მევენახეები იქნებოდნენ.
გ. ... ტკბილეულის მწარმოებელი კომპანიის თანამშრომელი იქნებოდა.
დ. ...რესტორნისა და სასტუმროს მცველი იქნებოდა.
ე. ...სხვა პროფესია არ ექნებოდა, ვერაფერს გაუგებდა.

**3.**

**ჟურნალისტი**: არაკომპეტენტური, დაბნეული.
**ფეხბურთელი**: თავშეკავებული, სიმპათიური, ერთგული.

## ბლოკი 4

**3.**

1. გაყიდვების აგენტი
2. მენეჯერი
3. ბუღალტერი
4. მიმტანი
5. ძიძა

**4.**

1. მენეჯერი
2. ბუღალტერი
3. ფინანსისტი
4. დისტრიბუტორი
5. პედაგოგი

**5.**

**ბუღალტერი არის ის, ვინც** მუშაობს რომელიმე დაწესებულებაში და ითვლის ფულს.
**ფინანსისტი არის ის, ვინც** მუშაობს რომელიმე დაწესებულებაში და ახორციელებს ფულად ოპერაციებს.
**დისტრიბუტორი არის ის, ვინც** რომელიმე პროდუქციას აწვდის ამა თუ იმ მაღაზიას/დაწესებულებას.
**პედაგოგი არის ის, ვინც** მუშაობს სკოლაში და ასწავლის მოსწავლეებს.

# თავი IV

## მოგზაურობა

### ბლოკი 1

**3.**

| | წამყვანი | ჩამკეტი | გამანაწილებელი | მზვერავი |
|---|---|---|---|---|
| არჩევს საუკეთესო მარშრუტს. | | | | √ |
| მოძრაობს წამყვანსა და ჩამკეტს შორის | | | √ | |
| თვალს ადევნებს ჯგუფის წევრებს | | √ | | |
| იკვლევს გზას | √ | | | |
| წინ უძღვება ჯგუფს, მიჰყავს ხაზი | √ | | | |
| წამყვანს უტოვებს ნიშნულებს | | | | √ |
| აქტუალურია უცნობი მარშრუტის დროს | | | | √ |
| არეგულირებს ჯგუფის გადაადგილების ტემპს. | | | √ | |
| ეხმარება წამყვანს ჯგუფის გადაადგილების ტემპის დარეგულირებაში | | | √ | |
| წინ უსწრებს ჯგუფს | | | | √ |

**4.**

- ბიბლიოთეკარი ☐
- მსახიობი ☑
- ფოტოგრაფი ☑
- მეზღვაური ☐
- მონადირე ☐
- მზარეული ☐
- ბიოლოგი ☐

**5.**

ა.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| სახალისო | ✓ | |
| მსუბუქი | | ✓ |
| საინტერესო | ✓ | |
| დატვირთული | | ✓ |
| სანერვიულო, ხიფათიანი | | ✓ |

ბ.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ასეთი მარტივი არასოდეს ყოფილა ჰონორარის მიღება. | ✓ | |
| ასეთი რთული არასოდეს ყოფილა მუშაობა. | | ✓ |
| ასეთი ადვილი არასოდეს ყოფილა ფულის ბეჭდვა. | | ✓ |

## 6.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ხიფათიანი | | ✓ |
| სანერვიულო | | ✓ |
| წინასწარ კარგად დაგეგმვის შემთხვევაში უსაფრთხო | ✓ | |
| ცივი გონებით გასათვლელი | ✓ | |

### ბლოკი 2

## 1.

კარვის კარის "ელვა შესაკრავი" აუცილებლად უნდა დავკეტოთ.
გაშლამდე აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, რომ მიწაზე წვეტიანი ნაწილები არ იყოს.
კარავი პირველად სახლში უნდა გავშალოთ.
"იატაკის" ოთხივე კუთხე კარგად უნდა დავჭიმოთ.
კარავი ცეცხლისგან მოშორებით, ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს უნდა გავშალოთ.
ზედა და ქვედა ტენტი არ უნდა შევახოთ ერთმანეთს.

## 2.

ა. კარვის კარის "ელვა შესაკრავი" აუცილებლად უნდა დავკეტოთ.
გაშლამდე აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, რომ მიწაზე წვეტიანი ნაწილები არ იყოს.
კარავი პირველად სახლში უნდა გავშალოთ.
"იატაკის" ოთხივე კუთხე კარგად უნდა დავჭიმოთ.
კარავი ცეცხლისგან მოშორებით, ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს უნდა გავშალოთ.
ზედა და ქვედა ტენტი არ უნდა შევახოთ ერთმანეთს.

ბ.

| ა. ...ის | ბ. ... ჩვენ | გ. ...ის |
|---|---|---|
| იყოს დაჭიმული<br>იყოს დაკეტილი | შევამოწმოთ<br>დავკეტოთ<br>შევამოწმოთ<br>გავშალოთ | დაიჭიმოს<br>ეხებოდეს |

## 3.

ა. დაჭიმული, დაკეტილი
ბ. შევამოწმოთ, დავკეტოთ, შევამოწმოთ, გავშალოთ
გ. დაჭიმვა, ეხება

## 4.

1. ჩაარჭვეთ
3. პალოზე
4. თოკები
5. დაჭიმეთ

## 5.

უნდა აიწყოს კარვის წინა მხარე და კარგად დამაგრდეს.
უნდა დაიჭიმოს კარვის წინა მხრის თოკი და დამაგრდეს პალოზე.
უნდა აიწყოს კარვის უკანა მხარე, უნდა დაიჭიმოს შესაბამისი თოკები და დამაგრდეს პალოზე.
უნდა დაიჭიმოს კარვის კალთების თოკი და დამაგრდეს მიწაში ჩარჭობილ პალოებზე.

# თავი V

## სპორტი

### ბლოკი 1

**1.**

| ზამთრის სახეობები: | საწყალოსნო სახეობები: | მაგიდის სახეობები: | ორთაბრძოლები: | სხვა სახეობები: |
|---|---|---|---|---|
| სათხილამურო სპორტი;<br>კანოე;<br>აფროსნობა;<br>ბიათლონი;<br>ჰოკეი. | ცურვა;<br>ყალში ხტომა. | მაგიდის ჩოგბურთი;<br>ჭადრაკი. | კრივი;<br>ჭიდაობა;<br>ბადმინტონი;<br>ხელბურთი;<br>ფეხბურთი;<br>შაში;<br>მძლეოსნობა;<br>რაგბი;<br>ძიუდო;<br>ჩოგბურთი. | ველოსპორტი;<br>კალათბურთი;<br>ბეისბოლი;<br>ფრენბურთი;<br>მშვილდოსნობა;<br>ტანვარჯიში;<br>ცხენოსნობა;<br>შვიდკაცა რაგბი. |

### ბლოკი 2

**1.**

**ლახტი:** თამაშისთვის საჭიროა იმდენი სარტყელი ანუ ქამარი, რამდენი წყვილი მონაწილეცაა.
**საჯილდაო ქვის აწევა:** ვინც ლოდს ოდნავ მაინც ააცილებდა მიწას, ხუთი ვერცხლით უნდა დაჯილდოებულიყო.
**ლელო:** მიზანია ბურთის მიტანა მოწინააღმდეგე გუნდის ხაზთან.
**მიპატიჟება:** ცხენის გაჭენება, დაბრკოლების გადალახვა, სხვადასხვა ვარჯიშობა ცხენზე.

**2.**

მოგებას უდრის
სათამაშო მოედანი შემოსაზღვრული არ იყო.
ანგარიში იცვლებოდა

**3.**

| | ლახტი | მიპატიჟება | ლელო | საჯილდაო ქვის აწევა |
|---|---|---|---|---|
| **მონაწილეთა/ გუნდების რაოდენობა** | 2 გუნდი/ 5-5 ან 6-6 მოთამაშე. | 2 მონაწილე | გუნდური თამაში (განუსაზღვრელი რაოდენობა) | ერთი მოთამაშე |
| **თამაშის აუცილებელი ატრიბუტები** | სარტყელი ანუ ქამარი | ცხენი | ბურთი | ქვა |
| **თამაშის მიზანი** | მოწინააღმდეგის "ჩაჭრა" – მუხლქვევით ტერფის მორტყმა | მამაკაცმა უნდა გაიმეოროს ის ვარჯიშები, რომლებსაც მხედარი ქალი ასრულებს. | მოთამაშეთა მიზანია ბურთის მიტანა მოწინააღმდეგე გუნდის პირით ხაზთან და ლელოს გატანა. | ქვის აწევა |
| **თამაშის ეტაპები** | გუნდებად გაყოფა, დამწყები გუნდის არჩევა და თამაშის დაწყება. | ქალის მიერ მამაკაცის არჩევა და მამაკაცის მიერ ყველაფრის გამეორება, რასაც ქალი შეასრულებს. | ადგილის შერჩევა და თამაშის დაწყება | ქარის გატარება, ანუ ქვის მიწიდან აღება, მუხლამდე აწევა, აწევა და ნაბიჯის გადადგმა, მკერდამდე აწევა, თავს ზემოთ აწევა, შეკაზმულ ცხენზე გადაგდება. |

**4.**

თამაშს მოიგებს ის, ვინც ქვას ასწევს.

თამაშს მოიგებს ის გუნდი, რომელიც მოახერხებს ბურთის მიტანას მოწინააღმდეგის გუნდის პირით ხაზთან და ლელოს დადებს.

**6.**

1. გადმოცემით ვიგებთ, რომ ოლიმპიური თამაშები ღმერთებმა ანუ დიდმა მბრძანებლებმა დააწესეს.
2. სტადიონი მან მამის, ანუ ზევსის გამარჯვების პატივსაცემად დააარსა.
3. ოლიმპიური ალამი, ანუ დროშა თეთრი ფერისაა და მასზე გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჯაჭვული რგოლი.

## ბლოკი 3

**1.**

ა. ადრე იქ საინტერესო ცხოვრება იყო, ბევრი ხალხი ცხოვრობდა.
ბ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ როგორც სხვებისგან გამიგია...
გ. ჩვენს საუკუნემდე..
დ. ტურისტების დიდი რაოდენობა.

**5.**

ქრონოსი | რეა

↓

ზევსი

**6.**

| | | |
|---|---|---|
| 1 | რეა | შეშინებული და იმედდაკარგული |
| 2 | ზევსი | სიმართლის დამცველი და ჭკვიანი |
| 3 | ქრონოსი | მკაცრი |

## ბლოკი 4

**1.**

ა. ჯომარდი – დაშვება გასაბერი ნავით მთის მდინარეებზე.
ბ. მინიმუმ 4, მაქსიმუმ 20.
გ. 7 წელი.

**2.**

ჩაფხუტი;
სამაშველო ჟილეტი;
ჰიდროკოსტუმი;
სპეციალური საჯომარდო ფეხსაცმელი.

**3.**

- [ ] ნავით დაშვებისას ინსტრუქტორი ზის წინ.
- [ ] ღირებულებაში შედის ტურის დასრულებისას გაცილება აეროპორტში.
- [ ] თბილისში ყოფნისას ტურისტები განთავსდებიან ერთადგილიან ნომრებში.
- [x] წყალზე დაშვება 6-8-ადგილიანი ნავებით.

# თავი VI

## თავისუფალი დრო

### ბლოკი 1

**4.**

უნიკალური → გამოსახულებები
პოპულარული და შემოსავლიანი → დარგი
პრესტიჟული → პროფესია

**5.**

6. თავდაპირველად ფოტოების გადაღება ძალიან ძვირი ჯდებოდა.
5. პირველი ქართველი ფოტოგრაფი იყო ალექსანდრე როინაშვილი.
3. საქართველოში ლითონის ფირფიტაზე გადაღებული 6 ფოტოსურათი არსებობს.
4. ყველაზე ძველი ქართული ფოტოსურათი გადაიღეს 1853 წელს.
1. ფოტოგრაფია წარმოიშვა მე-19 საუკუნეში.
7. ძველ ფოტოებზე დოკუმენტირებულია იმდროინდელი სასტუმროები, ქუჩები, ტანსაცმელი, ყოფითი კულტურა.
2. საქართველოში პირველი ფოტოსტუდიები პოლონელმა და გერმანელმა ფოტოგრაფებმა დააარსეს.

**7.**

ფირი → სურათის გადასაღები ლენტა
შემოქმედებითი → კრეატიული
ფოტო → ფოტოსურათი
მოყვარული → არაპროფესიონალი
ფოტოაპარატი → კამერა

### ბლოკი 2

**2.**

ა. **დროის აქტიურად გატარება** – ბოულინგის, მაგიდის ტენისის, ბილიარდის ან კარტინგის სათამაშოდ წასვლა.
ბ. **დროის მშვიდად გატარება** – ტერასები, სუფთა ჰაერზე მყუდრო გარემო, კაფე-ბარები.
გ. **კლუბში გართობა** – DJ-ის რეპერტუარის მოსმენა.

**4.**

1. მიზნით
2. მიზნით
3. გამო

**5.**

გამო
მიზნით
გამო (მიზანი / მიზეზი)
მიზნით (მიზანი / მიზეზი)

### ბლოკი 3

**1.**

1. შეყვარებულს.
2. ადამიანებს, რომლებსაც ვერასოდეს შეხვდებით.
3. საკუთარ თავს.

**2.**

ფეისბუქით
სხვადასხვა რეგიონებში

### ბლოკი 4

**1.**

იწყებს განვითარებას / მკვიდრდება;
ადგილი, სადაც ხალხი იკრიბება;
წარმოდგენა არ აქვთ საქმის ვითარებაზე, არაფერი იციან საქმის შესახებ;
საკითხი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს;
ენერგიული, ხალისიანი, სიცოცხლის მოყვარული.

**2.**

ფოლკლორულ მოტივებზე დადგმული საახალწლო ფლეშმობი; სუპერმარკეტის / სავაჭრო ცენტრის სარეკლამო კამპანია.

# თავი VII

## თბილისი და ქალაქში გადაადგილება

### ბლოკი 1

**1.**

**ა.** ჩვეულებრივად ჩაცმული შუა ხნის მელოტი მამაკაცია.

**ბ.** იმიტომ, რომ ავტორი ტურისტს ჰგავს, ფოტოაპარატი აქვს გულზე.

**2.**

| | | |
|---|---|---|
| ...-ისკენ | ≠ | -ის გამო |
| ...-ის მიმართულებით | = | -ისკენ |
| ...-ისკენ | ≠ | -ისგან |

**3.**

1. ავჭალის
2. ციხე-სიმაგრისკენ
3. ეკლესიის
4. სადგურისკენ
5. ქალაქისკენ

**4.**

**ა.** თბილისის ერთ-ერთი ტაძარი.
თბილისის ერთ-ერთი პარკი.
გერმანელები თბილისში.

**გ.** 1. მისი მშენებლობა გერმანელი არქიტექტორის სახელს უკავშირდება. დაინგრა მანამდე ამ ადგილას არსებული ნაგებობა. ახალი ნაგებობა ბევრმა დაიწუნა.
2. მას თავდაპირველად გასართობი დანიშნულება არ ჰქონდა. მისი მშენებლობა თბილისის გასაფართოებლად დაიწყეს. მშენებლობის განხორციელებაში ბელგიელები იყვნენ ჩართული.
3. ამ ადგილს უკავშირდება სხვადასხვა ევროპული საკვები პროდუქტის შემოტანა საქართველოში. იმხანად ამ ადგილებში ორი სოფელი არსებობდა.

### ბლოკი 2

**1.**

| | |
|---|---|
| სიცოცხლე | ცოცხალი |
| სიფრთხილე | **ფრთხილი** |
| **სიკვდილი** | მკვდარი |

**2.**

**დრომოჭმული** – ძველი
**მიხსნა სიკვდილისგან** – გადამარჩინა

**5.**

**ა.** მძღოლი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე;

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი არ გადაიხდის ჯარიმასა და საურავს;

**გ.** ეს ფაქტი შეიძლება დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო ფირზე;

**6.**

როგორიც → მიემართება თვისებას, აღწერას, მახასიათებელს.
სადაც → მიემართება ადგილს.
როდესაც → მიემართება დროს.

### ბლოკი 3

**1.**

ქუჩა შედარებით პატარაა, რომელიც კონკრეტულ უბანს მიეკუთვნება.
უბანში კი რამდენიმე ქუჩა შეიძლება შედიოდეს.

**3.**

სკანდალური

**4.**

**სიმღერის სათაური:** სიმღერა თბილისის უბნებზე
**კომპოზიტორის სახელი და გვარი:** გიორგი ცაბაძე
**მომღერლის სახელი და გვარი:** ბუბა კიკაბიძე

### ბლოკი 4

**1.**

ა. 1. რომელიც
2. რაც
3. რომელიც

**2.**

1. → ა
2. → ბ

**3.**

რომლებიც;
რაც;
რომელიც;
რომელმაც.

**4.**

| | სტრიქონის ნომერი: |
|---|---|
| დედაქალაქის მდებარეობა | 1 |
| ღვინის სმის ტრადიცია | 13-14 |
| ტრადიციული კერძები | 15 |
| გასართობი ადგილები | 9 |
| გართობის საშუალებები | 10 |
| დედაქალაქის დადებითი მხარე | 6 |

## თავი VIII

## საყიდლები

### ბლოკი 1

**1.**

ყიდვის მუდმივი სურვილით შეპყრობილი ადამიანები ყოველთვის, როცა ამის დრო და საშუალება მიეცემათ, მიდიან მაღაზიაში და ყიდულობენ რაღაც ნივთს. მიუხედავად იმისა, საჭიროა ის, თუ არა. მათი მთავარი მიზანია, ნივთი იყიდონ, თუმცა მაღაზიიდან გამოსვლისთანავე შეიძლება მისი არსებობაც კი დაავიწყდეთ და სადმე დარჩეთ, მაგალითად, ავტოფარეხში.

**2.**

ეს ტაფა დასაკარგი არ არის.
მაპატიეთ, თუ ისეთ რამეს ვამბობ, რაც არ მოგწონთ.
დეპრესია ახლოსაც კი არ მოდის.

**3.**

ავტორი გვირჩევს, რომ დავფიქრდეთ, სანამ რამის ყიდვას გადავწყვეტთ. დავუსვათ საკუთარ თავს შეკითხვა, ნამდვილად გვჭირდება თუ არ ის, რასაც ვყიდულობთ.

**4.**

შეივლით, დახარჯავთ, დაბრუნდებით, გაუჩნდება, მიხვდებით, მისცემთ, გამოსწორდებით, იყიდით, დარწმუნდებით, მოახერხებთ, დაგამშვიდებთ, გეტყვით, შექმნით.

**5.**

| | | |
|---|---|---|
| დახარჯეთ! | ნუ დახარჯავთ! | არ დახარჯოთ! |
| დაიჯერეთ! | **ნუ დაიჯერებთ!** | **არ დაიჯეროთ!** |
| **დაივიწყეთ!** | **ნუ დაივიწყებთ!** | არ დაივიწყოთ! |
| **გადაიხადეთ!** | ნუ გადაიხდით! | **არ გადაიხადოთ!** |
| შეიძინეთ! | **ნუ შეიძენთ!** | **არ შეიძინოთ!** |
| **იყიდეთ!** | ნუ იყიდით! | **არ იყიდოთ!** |
| მიიღეთ! | **ნუ მიიღებთ!** | **არ მიიღოთ!** |

6.

ა. სურს, რომ ფასები შეადაროს ერთმანეთს. "არა, განა ყიდვა მინდა, უბრალოდ შევხედავ, ფასებს შევადარებ, მაინტერესებს რაღაც..."
ბ. ამბობს, რომ თეთრ კედებს, რომელიც აქვს, ეს ლურჯი მოსაცმელი ძალიან მოუხდება.
გ. ამ ქალს იმიტომ უნდა ტანსაცმლის ყიდვა, რომ ონომანიით არის დაავადებული.

### ბლოკი 2

1.

ა. სიტყვის ძირია ვადა – გან-ვად-ება
ბ. განვადება ნიშნავს თანხის თანდათან, ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა ვადაში გადახდას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

3.

ა. რესპუბლიკას
ბ. კრედო და VTB
გ. VTB

### ბლოკი 3

2.

მაღალი რისკი
საფოსტო გადაზიდვა
ანგარიშის გატეხვა
ფულის მოპარვა

### ბლოკი 4

1.

ა. ფასდაკლებით ნივთის შეძენას.
ბ. საქართველოში წარმოდგენილი ბრენდი კომპანიების პროდუქცია.
გ. კახეთი, ქართლი, სამეგრელო, გურია, აჭარა.
დ. შოპინგი სახლიდან გაუსვლელად.
ე. ვაჭრობა, შეძენა, ყიდვა.

2.

ა. შეძენილი ნივთი ჯერ მიდის შუამავალი კომპანიისგან გამოგზავნილ მისამართზე.
ბ. ნებისმიერი სახის ნივთების შეძენაა შესაძლებელი, ტანსაცმლით დაწყებული – ელექტროტექნიკით დამთავრებული.

3.

ა. რთულ, დაძაბულ სიტუაციაში ერთადერთი ნათელი წერტილი შოპინგია.
ბ. ადგილი, სადაც ყველაფრის პოვნა შეგვიძლია.

4.

სათვალის, საათის, ფეხსაცმლის, ქამრის, კაბის, კოსტუმის, შარვლის, ბრიჯის.

## თავი IX

## მომხმარებლები და გადასახადები

### ბლოკი 1

1.

გაზის, დენის, ინტერნეტის, დასუფთავების, სწავლის...

2.

ა. 2. კლიენტი თვლის, რომ გადასახადის თანხა ზედმეტია.
3. "თელასის" ოპერატორთან საუბრისას გაირკვა, რომ გადასახდელი თანხა სწორია.

ბ. პირველ რიგში დარეკოს "თელასის" ოპერატორთან, შემდეგ მოვიდეს რაიონულ სერვისცენტრში და დაწეროს განცხადება.

გ.

| | ფრაზის ნომერი |
|---|---|
| მომხმარებელი | 1; 2; 4 |
| ოპარეტორი | 3; 5 |

დ. ელექტრო ღუმელის ხშირი გამოყენება (დედა მეზობელს დაეხმარა კერძების მომზადებაში).

5.

ა.

| | |
|---|---|
| გამგზავნი: | ყაზტრანსგაზის ადმინისტრაცია |
| მიმღები: | გურამ ნემსიწვერიძე |
| მიმართვა: | ძვირფასო აბონენტო |
| წერილის მიწერის მიზეზი: | გაზის საფასურის გადაუხდელობა |
| რას ითხოვს წერილის ავტორი? | აბონენტმა დაფაროს დავალიანება |
| დამშვიდობება: | პატივისცემით |

6.

ა. კომუნალური მომსახურების შესახებ საჩივრის დაწერისას სააბონენტო ნომრის მითითება აუცილებელია.

გ. საჩივარში უნდა მიუთითოთ იმ კომპანიის სრული იურიდიული დასახელება, რომელსაც უჩივით.

## ბლოკი 2

1.

ორი სინონიმი – ეკრძალებათ, იკრძალება;
ანტონიმი – აქვს უფლება.

2.

1. აკრძალულია;
2. აკრძალულია, ეკრძალებათ;
3. ეკრძალებათ;
4. აკრძალულია;
5. აკრძალულია;
6. ეკრძალება.

3.

ა. 1. ლუდით ვაჭრობა;
2. ველოსიპედით სიარული ხმოვანი სიგნალების გარეშე;
3. მტვერსასრუტის თხოვნა.

ბ. 1. გაუთხოვარ ქალებს;
2. იმ პირების მიერ, რომელთაც არ ჰყავთ 2 ძროხა მაინც;
3. სამზე მეტ ძაღლს, თუ მათ არა აქვთ ამისათვის სპეციალური ნებართვა ქალაქის მერისაგან.

## ბლოკი 3

1.

ჯეელი → ახალგაზრდა;
საწევრო → გადასახადი ასოციაციაში, პარტიაში ან საზოგადოებაში წევრობისთვის;
მთელ ქალაქს კარცერებით მოვფენდი → ქალაქში უამრავ კარცერს ავაშენებდი / მოვაწყობდი;
ნებაყოფლობითი → სურვილის მიხედვით;
უბადლო → შეუდარებელი, უნაკლო.

2.

კეტავენ ერთ სივრცეში, სადაც მხოლოდ კითხვაა შესაძლებელი. სხვა საზრუნავი არ აქვთ. მათ არ სცემენ პასუხს, თუ რატომ არის დაჭერილი.

3.

ა.

| კლიმს უფლება აქვს | კლიმს ევალება | კლიმს ეკრძალება |
|---|---|---|
| 1. გაუჯავრდეს კარცერში მყოფ ადამიანს, რომელიც ცუდად იქცევა.<br>2. უფლება აქვს უთხრას: თუ გინდა გადაფურცლე რამე, აი იქ, კარადაში, წიგნებია. | 1. კართან იჯდეს მუხლებზე წიგნით და იდარაჯოს.<br>2. თუ ადამიანი არ კითხულობს, კატეგორიულად უნდა უთხრას, რომ თუ ყველა წიგნს არ წაიკითხავს, სახლში არ გაუშვებენ. | 1. პასუხი გასცეს კარცერ-ლუქსში მყოფი ადამიანის შეკითხვას, თუ რატომ დაიჭირეს. |

ბ.

| კარცერ-ლუქსის ბინადრისთვის ნებადართულია | კარცერ-ლუქსის ბინადარი ვალდებულია | კარცერ-ლუქსის ბინადრისთვის აკრძალულია |
|---|---|---|
| მიირთვას ის, რაც სურს. | წაიკითხოს ყველა წიგნი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლში არ გაუშვებენ. | სხვა საქმის კეთება, გარდა კითხვისა. |

## ბლოკი 4

1.

1. საერთაშორისო ბაზარზე და საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობაა.
2. ახალი მომხმარებელბისთვის უკვე ძალაშია.
3. პაკეტები მომავალი ერთი თვის განმავლობაში შეიცვლება.
4. ინტერნეტი, ტელევიზია და ინსტალაცია.

2.

ა. ინტერნეტის ტარიფი გაიზარდა, მაგრამ სიჩქარე არ შეცვლილა.

3.

კომუნიკაციების ომბუდსმენი → ინტერნეტის, ტელევიზიის, სატელეფონო კავშირების მომხმარებელთა ინტერესების დამცველი;
ხარისხის გაუმჯობესება → უკეთესი ხარისხის მიწოდება;
სხვაობა ფასსა და ხარისხს შორის → ტარიფი უფრო მაღალია, ვიდრე, მაგალითად, ინტერნეტის სიჩქარე;
მომხმარებელი → ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს ამა თუ იმ მომსახურებას;
განვითარებადი ქვეყანა → ცხოვრების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყანა.

# თავი X

## კვება

## ბლოკი1

1.

ა. ბევრი კერძი სხვა ქვეყნიდანაა შემოსული და დამკვიდრებული.
ბ. ქართულმა კულტურამ ბევრი სხვა ქვეყნისა და კულტურის კერძი შეითვისა/შეიწყნარა.
გ. ქართული სუფრა ისტორიის ნაწილია.

2.

ა. მწვანილი, ზეთი, ძმარი.
ბ. სანელებელი.

3.

| მოსაუბრე პირი | ფრაზის ნომერი |
|---|---|
| ნანა | 2, 4 |
| ლეილა | 1, 2 |

**4.**

- ნიგვზიანი ბადრიჯანი ☐
- ელარჯი ☑
- გებჟალია ☑
- იმერული ხაჭაპური ☑
- იმერული ყველი ☑
- სულგუნი ☑
- მეგრული ხაჭაპური ☑
- მჭადი ☐
- ბაჟე ☑
- მწვადი ☑
- ღომი ☐
- მეგრული ხარჩო ☑

**5.**

ა.

| | კი / არა | თუ გასინჯავენ, სად და რა ვითარებაში? | თუ ვერ გასინჯავენ, რატომ? |
|---|---|---|---|
| ჩაქაფული | არა | | ზაფხულში ტარხუნა არ არის |
| ხინკალი | კი | მამუკა წაიყვანს რესტორანში | |

ბ. 1. – ჩაქაფული
2. – ხინკალი

## ბლოკი 2

**1.**

| | |
|---|---|
| უშგულის თემი ზემო სვანეთის ყველაზე მაღალი დასახლებაა. | √ |
| უშგულელები სათიბისა და საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. | x |
| უშგულელი ქალები საძოვარზე წველენ ძროხას. | √ |
| უშგულის ყველა ოჯახში მზადდება რძის პროდუქტები. | √ |
| უშგულელებს საზაფხულოდ საქონლის შორს წაყვანა უწევთ. | x |

**2.**

| | |
|---|---|
| საიალაღოდ გადარეკვა | საქონლის საზაფხულო საძოვარზე, სოფლიდან მოშორებით წაყვანა. |
| საძოვარი | ბალახით დაფარული მინდორი, სადაც ცხოველი ძოვს. |
| სათიბი | ბალახით დაფარული მინდორი, რომელზე მოჭრილ ბალახსაც საქონლის საკვებად იყენებენ. |

**3.**

- ხაჭო ☑
- ნადუღი ☑
- ნაყინი ☐
- ნალები ☑
- არაჟანი ☑
- მაწონი ☑
- ყველი ☑
- კეფირი ☐
- კარაქი ☑
- ერბო ☑
- იოგურტი ☐
- შესქელებული რძე ☐

**4.**

ა.

| ზმნა | მიმღეობა |
|---|---|
| ჭყლეტს | დაჭყლეტილი |
| ზელს | მოზელილი |
| ახურებს | გახურებული |
| დებს | დადებული |

**ბ.** ქიშტვარი მჭადის ფქვილთან ერთად **დაჭყლეტილი** (უკვე დაჭყლიტეს) ყველია.
ქიშტვარისთვის უწყლოდ **მოზელილი** (უკვე მოზილეს) ცომი გამოიყენება.
ქიშტვარს **გახურებულ** (უკვე გაახურეს) ფიქლის ქვაზე აცხობენ.
ფიქალი ერთგვარი ქვაა, რომელიც სვანური სახლის შუაცეცხლზეა **გადებული** (უკვე გადეს).

### 5.

სვანეთში განსაკუთრებულად გემრიელი კარტოფილი მოჰყავთ.
მერწვი ერთ-ერთ მეგრულ კერძს, ელარჯის ჰგავს.
კარტოფილის დასაჭყლეტად უშგულელები ძველებურ საჭყლეტს იყენებენ.
უშგულის ყველი განსაკუთრებულად უცხიმოა.
მერწვში კარტოფილი უფრო მეტია, ვიდრე ყველი.
მერნვში ყველი რაც შეიძლება გრძლად უნდა იწელებოდეს.

### 6.

მოხარშული, **გაფრცქვნილი** და **ჩაზელილი** კარტოფილი;
**ადუღებული** რძე;
**დაჭყლეტილი** ყველი.

### 7.

კუბდარი ცომეულია, რომელიც ჰგავს **ხაჭაპურს**. **ხაჭაპურისგან** განსხვავებით, კუბდარს ყველის ნაცვლად აქვს **ხორცი**. კუბდარში, ხინკლის მსგავსად, ხორცის წვენი გროვდება, ამიტომ მას მიირთმევენ **გაუჭრელად**.

### 8.

**ა.** 1. – ქერი;
2. – ხორბალი.

**ბ.** 1. – ჯიხვი;
3. – ძროხა;
4. – კალმახი;
5 – გარეული ღორი.

## ბლოკი 3

### 1.

**ა.** ის ფიქრობს, რომ შესაძლოა მომხმარებელს მობეზრდეს ქართულ რესტორნებში სიარული და ქართული კერძები და მიმართოს სხვა კვების ობიექტებს.
**ბ.** ამ საფრთხის მიზეზი არის ის, რომ ქართულ რესტორნებში არის ერთფეროვანი კერძები.

### 2.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| უილიამ დანზარის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი ქართულ რესტორნებს აკრიტიკებს. | ✓ | |
| ქართულ რესტორნებში კერძების რაოდენობა შეუზღუდავია. | | ✓ |
| ტურისტების მხრიდან პირველ “შოკს“ საქართველოში სამზარეულო იწვევს. | ✓ | |
| ქართული სარესტორნო ბიზნესის დიდი ნაწილი კულინარიულ პრობლემებს აღიარებს. | | ✓ |
| ქართული რესტორნები შენიშვნას იღებენ და რესტორნის სამზარეულოს ამრავალფეროვნებენ. | | ✓ |

### 3.

ქართულ რესტორნებში არის ერთფეროვანი, შეზღუდული მენიუ. რესტორნების უმრავლესობას აქვს ერთნაირი კერძები.

### 4.

**ა.** ცუდად ხსენება, უარყოფითად დახასიათება.
**ბ.** მივიღეთ, ასე ვიფიქრეთ.

### ბლოკი 4

**1.**

**ა.** ცოლ-ქმარი;
**ბ.** როდესაც ვახშმობა დაასრულეს;
**გ.** არტალა.

**2.**

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ჩიხირთმას დესერტად მიირთმევენ. | | ✓ |
| ბოზბაში ხორციანი კერძია. | ✓ | |
| ბოზბაშს პურთან ერთად მიირთმევენ. | ✓ | |
| ჩიხირთმა წვნიანია. | ✓ | |
| ბოზბაშს ვახშამზე არ მიირთმევენ. | | ✓ |

**3.**

1.– ბ;
2. – გ;
3. – გ.

**4.**

**ა.** ჩურჩხელა თუ გოზინაყი?
ხინკალი თუ ქაბაბი?
საცივი თუ ბაჟე?

**6.**

პრობლემა პრობლემად დარჩა.

## თავი XI

## სწორი კვება და ჯანმრთელობა

### ბლოკი 1

**1.**

ავტორის აზრით, ჯანსაღ კვებაზე ზრუნვა სახელმწიფოს საქმეა. (გ.)

**2.**

**ჯანსაღი კვება** – მიიღო საკვები, რომელიც სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის;
**"ქუჩის" კვება** – ჭამო საჭმელი ქუჩაში, სწრაფი კვების ობიექტებში;
**კონსერვირებული საკვები** – საკვები, რომელიც დაცულია გაფუჭებისაგან, შეფუთულია სპეცილური პირობების შექმნით;
**კეთილსინდისიერება** – ადამიანის თვისება: პატიოსნება, სინდისიერება.

**3.**

**ა.** საშაურმე, მაკდონალდსი, ორი წუთი.
**ბ.** შაურმა, ჰამბურგერი, ჩიზბურგერი, კარტოფილი ფრი, ხაჭაპური...

**4.**

| | რა მიზეზით მიირთმევს შაურმას? |
|---|---|
|  | გემრიელი საჭმელია. |

| | |
|---|---|
|  | ურჩევნია სახლში გაკეთებული საჭმელი, მაგრამ როცა ეჩქარება, მაშინ ჭამს. |
|  | მისი დღის რეჟიმიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს, მაგრამ სახლში კვება ურჩევნია. თვლის, რომ შაურმა არ უნდა ჭამოს ადამიანმა, რადგან მასში ბევრი ცხიმი და ქოლესტერინია. |

## 5.

| თვლის, რომ ძვირია: | თვლის, რომ გემრიელი საჭმელებია: | თვლის, რომ ხაჭაპური უკეთესია: |
|---|---|---|
| დ; ვ; ზ | ბ; გ; დ; ე; ზ | ა; ე |

## 6.

1. მაკდონალდს კარგი მომსახურება აქვს და ჰიგიენური პირობები დაცულია. – გ;
2. მაკდონალდსში ისვენებს ხოლმე. მოსწონს მაკდონალდსის მაკშეიკი. – ბ;
3. ყველაზე მეტად მოსწონს ნაყინი. – ე;
4. ფასს ყურადღებას არ აქცევს, რადგან მისთვის მაკდონალდსის საჭმელები ძალიან გემრიელია. – ვ;
5. თვლის, თუ შემოსავალი არ გაქვს, მაკდონალდსში ვერ ივლი. – ზ;
6. მაკდონალდსის ხშირი სტუმარია. უყვარს ყველა მენიუ. – დ.

# ბლოკი 2

## 1.

არასწორმა კვებამ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას.

## 2.

ჯანსაღ კვებას აქცევს ყურადღებას. *ნინო*
ძალიან უყვარს მწვადი. *დაჩი*
ცხიმიან საკვებს არ ჭამს. *ნინო*
დიდ ყურადღებას არ აქცევს საკვების შემადგენლობას. *დაჩი*
დიეტაზეა. *ნინო*

## 3.

ისპანახი – კარგია მხედველობისთვის;
ნიგოზი – სასრგებლოა;
კიტრისა და პომიდვრის სალათა – ჯანსაღია და გემრიელი;
მაიონეზიანი სალათა – ზედმეტად ცხიმიანია;
ხაჭაპური – არადიეტურია.

## 4.

| | | | |
|---|---|---|---|
| აჯაფსანდალი | ☐ | შემწვარი წიწილა | ✓ |
| მჭადი | ✓ | თევზი | ☐ |
| სულგუნი და იმერული ყველი | ✓ | ნიგვზიანი ბადრიჯანი | ✓ |
| ხინკალი | ☐ | ისპანახი | ✓ |
| მეგრული ხაჭაპური | ✓ | ღორის მწვადი | ✓ |
| მაიონეზიანი სალათა | ☐ | კიტრისა და პომიდვრის სალათი | ✓ |
| ბაჟე | ✓ | | |

5.

ა. მარცვლეულის;
ბ. ნოყიერი, მსუბუქი;
გ. ტკბილეული;
დ. უმარილო, უცხიმო;
ე. ნაჭერი.

6.

ა. სასურველია, 3-4-საათიანი ინტერვალი დაიცვათ.
ბ. უმჯობესია, მსუბუქი ვახშამი მიირთვათ.
გ. რეკომენდებულია,დღეში ოთხჯერ ჭამოთ.
დ. შეგიძლიათ, ნოყიერად ისადილოთ.
ე. სასარგებლოა, მიიღოთ ხილი და ბოსტნეული.

ბლოკი 3

1.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| თამბაქო კანცეროგენულ ნივთიერებებს შეიცავს. | ✓ | |
| თამბაქოს მოხმარება გულისა და ფილტვის დაავადებებს იწვევს. | ✓ | |
| მცირე დოზით ნიკოტინი სამკურნალოდ გამოიყენება. | | ✓ |
| სიგარეტის მოწევისას ჰაერი იწამლება. | ✓ | |
| მაღალი ხარისხის თამბაქო ორგანიზმს არ ვნებს. | | ✓ |

2.

ა. – თვალის გუგა;
ბ. – ფილტვები;
გ. – პირის ღრუ;
დ. – არტერიული წნევა.

4.

სიგარეტის მოწევა **იწვევს** არტერიული წნევის მომატებას. **ახშირებს** მაჯისცემას. **აზიანებს** ტუჩის, ენის, სასის, საყლაპავი მილის ლორწოვან გარსს. **აქვეითებს** მახსოვრობას და მხედველობას. **ამცირებს** მწეველის სიცოცხლეს. **ზრდის** სხვადასხვა დაავადების რისკს.

ბლოკი 4

3.

დიეტა გრძელდება დიდხანს, ან აქვს შედეგი, ან – არა;
გამხდარი მეგობარი, რომელიც სიმსუქნეზე წუწუნებს;
დედა ამზადებს მისთვის საყვარელ კერძებს;
მოდის სტუმარი და მოაქვს გემრიელი ტორტი.

4.

1. დედა აღნიშნავს, რომ ენი გასუქდა;
2. აღარ უხდება / ვეღარ ეტევა ტანსაცმელში;
3. ინტერნეტში გამხდარ გოგოებს ათვალიერებს

## თავი XII

### კავკასია

ბლოკი 1

1.

ა. 4. ლექტორი და სტუდენტი.
ბ. ლექტორი დაჰპირდა, რომ კარგად პასუხის შემთხვევაში უმაღლეს შეფასებას დაუწერს.

**გ.** კავკასია შავ, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის მდებარეობს. ☑
კავკასიის რეგიონის ფართობია 560 ათასი კვადრატული მეტრი. ☐
ქართული ენა ქართველურ ენათა ოჯახში შედის. ☑
რუსული ენა ალთაურ ენათა ჯგუფში შედის. ☐
სომხური ინდოევროპული ენაა. ☑

**3.**

**გ.** ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან აფხაზები.

**4**

**ა.** კავკასიაში ცხოვრობენ ასევე ბერძნები, ასურელები, ესტონელები, ბოშები...;
**დ.** რუსები არიან მუსლიმები.

**5.**

| იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი | ინდოევროპულ ენათა ოჯახი |
|---|---|
| იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფები. | რუსები, უკრაინელები, სომხები და ირანის ჯგუფის ხალხები – ოსები. |

**6.**

1 — კორეელები;
2 — ქართველები;
3 — ბოშები;
4 — ბერძნები.

## ბლოკი 2

**1.**

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| ალექსანდრე დიუმამ კავკასიაში იმოგზაურა. | ✓ | |
| ალექსანდრე დიუმა კავკასიური წეს-ჩვეულებებით აღფრთოვანებულია. | | ✓ |
| მწერლის მოსაზრებები დღესაც აქტუალურია. | ✓ | |
| ამ წიგნით გაიცნო კავკასია იმდროინდელმა მსოფლიომ. | ✓ | |

**2.**

1 – **დ.**; 2 – **ა.**; 3 – **ბ.**; 4 – **გ.**.

**3.**

**ბ.** იარაღი.

## ბლოკი 3

**1**

**ა.** ქორწილი.
**ბ.** ქართული სუფრისთვის დამახასიათებელია ცეკვა, სიმღერა, თამადა, სადღეგრძელოები.
**გ.** ოჯახი სამი ვაჟიშვილის ქორწილს იხდის.
**დ.** ოჯახის მასპინძელი სადღეგრძელოში მადლიერებას მეზობლების მიმართ გამოხატავს.
**ე.** ფრანგი სტუმარი აღფრთოვანებულია ქართული სიმღერით.

**2.**

**ა.** გამიფრინდით ბუდიდან – წახვედით ოჯახიდან, დაქორწინდით;
**ბ.** დუნიაზე – ქვეყანაზე;
**გ.** გამისკდა ყურის ბარაბანი – აღარაფერი მესმის, დავყრუვდი;
**დ.** მოგვჭრა თავი – შეგვარცხვინა.

### 3.

გამარჯობა; შე კაცო; ჩემო შვილებო;

რავა; საყვარელო სტუმრებო;

ნება მომეცით; რას შობი; მოილხინეთ.

### 6.

სტუმარმასპინძლობა ეს არის ჩვენი **სავიზიტო ბარათი**. ნებისმიერ ვიდეორგოლში, რაც გადის დღესდღეობით, ყოველთვის ხაზგასმულია, თუ რა მაგარი **მასპინძლები** ვართ ჩვენ, ყველანი.
ჩემი პირველი ნაბიჯები მინდა გავიხსენო ამ **სტუმარმასპინძლობაში**. არის ესეთი ძალიან ლამაზი ქალაქი კახეთის ბოლოში – **ლაგოდეხი**, სადაც ხშირად ვატარებდი დროს ზაფხულში, ბებია-ბაბუა. **იმერელი** ბებია მყავდა ძალიან ისეთი გახსნილი და "ჩამოხვედი, ბებო?" – ესე დამხვდებოდა ხოლმე. ცოტა ესეთი, პუტკუნა ქალი იყო და ძალიან, ასე ვთქვათ, მიყვარდა ზოგადად იქ ჩასვლა.
ერთ დღესაც გავიგე ესეთი რაღაც, რომ სტუმრები მოდიან სხვა ქალაქიდან და ყველას ძალიან **გაუხარდა**, თუმცა მე ვიყავი პატარა და ძალიან **ღრმად** ვერ გავიგე, რატომ უხაროდათ ამ ადამიანებს სტუმრების მოსვლა. მერე ჩემმა ძმამ მითხრა, რომ იქ შოკოლადებს **მოგიტანენო**, საოცნებო "ტადელი" შეიძლება მოეტანათ, მაშინ იყო პეჩენია „პიკნიკი" და შოკოლადი „ტადელი", "სნიკერსი" ჯერ არ იყო. მეც **ავყევი**, ესე იგი, ამ სიხარულს. ბებიამ გვერდზე გამიყვანა და ესეთი, იმერული, კილოთი მითხრა – ჰე, ახლა ნუ იტუზები კართან და **მიესალმე** სტუმრებს, როგორც კი ჩამოვლენ და თან მომაძახა, რომ თემო ძიაც ჩამოვაო და უნდა **იმღეროო**.
მოსაღამოვდა. მამალი უკვე **საქათმეშია**, სუფრა გაშლილია, სახლი დალაგებულია და ყველანი ვართ **მოლოდინში**. სიგნალის ხმით მივხვდით, რომ სტუმრები ჩამოვიდნენ და ყველა იქით გაიქცა.
გაჩაღდა **სუფრა**, როგორც არის ხოლმე ქართულ ტრადიციებში. ბიძაჩემი დადგა **თამადად**. ვაქცევდით **ყურადღებას** სტუმრებს. იქ სხვადასხვა კერძები შემოდიოდა. ამ დროს მეძახის ბებიაჩემი, რომ მოდი ეხლა და **დანაპირები** სიმღერა იმღერეო.
ძალიან ლამაზად ჩაიარა ამ საღამომ. მეზობელმა გიამ **გააცილა** ერთი-ორი, ერთი-ორი სახლშიც **დავიტოვეთ**, და რაღაცნაირად მივხვდი, რომ თითქოს უფრო სხვანაირი გავხდი, რაღაც ცოტა უფრო გავიზარდე. ძალიან ტკბილ **მოგონებად** იქცა ეს საღამო, კონკრეტულად, სადღაც 20-22 წლის **წინანდელი**, რასაც ვერ შევადარებდი 3 თვის უკანდელ საღამოს.

### 7.

**ა.** რესტორანში მისვლისთანავე მომსახურე პერსონალი შემოეგება მეგობრებს.
**ბ.** მიმტანი არ იყო კეთილგანწყობილი მათ მიმართ.
**გ.** მეგობრები ერთმანეთს ჟესტების ენით ესაუბრებოდნენ.
**დ.** მეგობრებს ძალიან მოეწონათ რესტორანში გატარებული დრო, წამოსვლა აღარ უნდოდათ.

### 8.

ვიდეოს პერსონაჟს აწუხებს, რომ სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ნელ-ნელა იკარგება. ადამინები იშვიათად დადიან სახლში ერთმანეთთან. რესტორნებში მისულებს კი არც თუ ისე კარგი გარემო ხვდებათ. იქ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც გადაღლილები არიან და ამიტომ არ იღიმიან. ვიდეოს პერსონაჟი ოცნებობს, რომ სადაც შევა, ყველგან ისე ხვდებოდნენ, როგორც საკუთარ სახლში დახვდებოდნენ სტუმრებს.

## ბლოკი 4

### 1.

**ა.** ჩეჩენი მწყემსები ცხვრებს ეძებდნენ და მთებში დაიკარგნენ.
**ბ.** პირველი პანკისელი ქისტები ჩეჩნეთიდან მტერს გამოექცნენ.
**გ.** ჩეჩენ მწყემსებს ქართული სტუმართმოყვარეობა მოეწონათ.
**დ.** მწყემსები საქართველოში ღმერთის სურვილით დასახლდნენ.

### 2.

**ა.** საქართველოში ქისტები XVIII-XIX საუკუნეში **გადმოსახლებულან**.
**ბ.** ცხვრების საძებრად წამოსული მწყემსები კავკასიონის მთებში **დაკარგულან**.
**გ.** ღამით მომხდარ უცნაურ ამბავში მწყემსებს ღვთის ნიშანი **დაუნახავთ**.
**დ.** მწყემსებს ცხვრების ძებნა **შეუწყვეტიათ**.

**4.**

მოქმედებს – უმოქმედია;
მიიღოს – მიუღია;
შეიფაროს – შეუფარებია;
დააპუროს – დაუპურებია;
გაისტუმროს – გაუსტუმრებია.

**5.**

| უწყვეტელი | წყვეტილი | II კავშირებითი | I თურმეობითი |
|---|---|---|---|
| ცხოვრობდა | იცხოვრა | იცხოვროს | უცხოვრია |
| ლოცავდა | დალოცა | დალოცავს | დაულოცავს |
| ატარებდა | ატარა | ატაროს | უტარებია |
| აცილებდა | გააცილა | გააცილოს | გაუცილებია |
| იხსენებდა | გაიხსენა | გაიხსენოს | გაუხსენებია |
| შედიოდა | შევიდა | შევა | შესულა |

www.geofl.ge